ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 4 დეკემბერი 1941 წ. • № 287 (6292) ფასი 15 კაპ.

## ევაკუირებული საწარმოები თავდაცვისათვის მუშაობენ

საბოლოოდ გაცრუპენტელავებულმა ჰიტლერელმა ბაქიებმა გერმანიის ცნობაში 5 თვის ომის მანძილზე საბჭოთა კავშირის დანაკლისის გამო ერთხელ კიდევ შეირცხვინეს თავი მთელი მსოფლიოს წინაშე თავიანთი სასაცილო განცხადებით სსრ კავშირის მთელი სამხედრო მრეწველობის სამი მეოთხედის ხელში ჩაგდების შესახებ. ამ დღეებში საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ ამხილა ჰიტლერელ ყალბისმქმნელთა სულელური ჭორები ფრონტებზე ჩვენი ჯარების დანაკლისის შესახებ, აგრეთვე მრეწველობის დანაკლისის შესახებ. „გერმანელთა მიერ დაკავებული რაიონებიდან ყველა ქარხანა და ფაბრიკა გადატანილია საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში და ბევრი მათგანი უკვე ახალ ადგილას იძლევა წითელი არმიისათვის ტანკებს, თვითმფრინავებს, ზარბაზნებს, საომარ მასალას. მცირე რაოდენობის საწარმოები, რომელთა ევაკუაცია ვერ მოხერხდა, გერმანელებმა მართლაც ხელთ იგდეს..., მაგრამ ხელთ იგდეს საბჭოთა ჯარების მიერ აფეთქებული და მოსპობილი ნანგრევების სახით“.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ზედიზედ მიდის წითელი არმიისათვის განკუთვნილი იარაღით, საომარი მასალითა და საჭურვლით დატვირთული ეშელონები. ასობით საწარმო წარმატებით მუშაობს ახალ ადგილებზე, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, აფართოებს საომარი მასალის წარმოებას. ევაკუირებული საწარმოები, ინდუსტრიული აღმოსავლეთის მძლავრ მრეწველობასთან ერთად, თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით წითელი არმიის შევსების დიდი წყარო გახდა.

„პრავდის“ დღევანდელ ნომერში მკითხველები იპოვიან კორესპონდენციას ფრონტისპირა ზოლიდან ღრმა ზურგში გადატანილი ერთ-ერთი სამხედრო ქარხნის საუცხოო მუშაობის შესახებ. ეს ქარხანა აღმოსავლეთისაკენ სექტემბრის დასაწყისში იქნა ევაკუირებული. ახალ ადგილას საწარმო მთელი თავისი მოწყობილობითა და მუშათა კოლექტივით მივიდა, 15 დღის შემდეგ შეუდგა მუშაობას 2 საამქრო, კიდევ 8 დღის შემდეგ კი მთელი ქარხანა სრული სიმძლავრით ამუშავდა. თვეზე ნაკლები დასჭირდა იმას, რომ გაემართათ მოწყობილობა და განეახლებინათ იარაღის წარმოება.

ჰიტლერელმა დამპყრობლებმა დნეპროპეტროვსკის ოკუპაცია მოახდინეს, დონბასში შემოიჭრნენ, მაგრამ დნეპროპეტროვსკისა და დონეცის ქარხნები უკვე დიდი ხანია ახალ ადგილებშია ზავოლჟიეში, ურალში, ციმბირში. ვოროშილოვის სახელობის ქარხანა, რომელიც დნეპროპეტროვსკში იმყოფებოდა, დიდი წარმატებით მუშაობს ურალში. იქ ეს ქარხანა სექტემბრის პირველი ნახევრის დამლევს გადაიტანეს, ხოლო 11 ოქტომბერს მან ფრონტისათვის პროდუქციის მიცემა დაიწყო. კარგად სთქვა ამ ქარხნის ხარატმა ამხ. კოჩეტოვმა: „მტერმა უდიდესი დანაკლისის ფასად შესძლო დროებით ხელში ჩაეგდო ჩვენი მშობლიური ქალაქი დნეპროპეტროვსკი, მაგრამ იქ მან ხეირი ვერა ნახა. ჩვენი ქარხნები ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის მუშაობენ და მომავალშიც იმუშავებენ. და ჩვენც, მუშები, ჩვენი მამულისათვის ვშრომობთ და მომავალშიც ვიშრომებთ. ჩვენი ზურგი გამართული და მაგარია. გერმანელი დამპყრობნი ვერასოდეს ვერ შესძლებენ მის მოდრეკას“.

მრავალი ათეული ქარხანა სწრაფად ამუშავდა ახალ ადგილებში. ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმა შესძლეს ორგანიზებულად მოეხდინათ ევაკუაცია. მათ სწრაფად განახორციელეს მოწყობილობის დემონტაჟი, მზრუნველობით შეფუთეს იგი, თან წაიღეს მთელი მარაგ-განამზადი, დეტალები, მასალების მარაგი, მტრისათვის არაფერი არ დაუტოვებიათ. ქარხნები კი არა, ნანგრევები უნდა იპოვოს მტერმა დაპყრობილ ადგილებში! გულდასმით განხორციელებულმა ევაკუაციამ, მოწყობილობის მოხერხებულმა და სწრაფმა მონტაჟმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებამ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში გადატანილ საწარმოებს საშუალება მისცეს მოკლე ვადაში მოეგვარებინათ წარმოება.

ევაკუირებულ საწარმოთა სწრაფი ათვისება ჩვენი ქვეყნის ზურგის რაიონების ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის უაღრესად საბრძოლო ამოცანაა. უნდა დავეხმაროთ ახალ საწარმოებს შენობების გამონახვაში, ახალი საქარხნო მოედნების მშენებლობაში და ძველების გადაკეთებაში, ევაკუირებული მუშების, მოსამსახურეების, სპეციალისტებისა და მათი ოჯახების საყოფაცხოვრებო მოწყობაში, კვალიფიციური მუშების ახალი კადრების მომზადებაში. პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები ვალდებული არიან ჩასწვდნენ სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ყველა დეტალს, შეამოწმონ მთავრობის დირექტივების შესრულება, დაეხმარონ ამ დირექტივების შესრულებაში.

ამჟამად ახლებურად დგას მრეწველობის კოოპერირების ბევრი საკითხი. ომმა მოშალა მომიჯნავე საწარმოთა შორის არსებული ძველი სამეურნეო ურთიერთობა. ახალ ადგილებში ფაბრიკები და ქარხნები ახლებურად უნდა იქნან კოოპერირებულნი. ადგილობრივ მაქსიმალურად უნდა დავამზადოთ პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო მასალა, არ უნდა დავუშვათ შორეული ტვირთზიდვა, არ უნდა გავართულოთ ტრანსპორტის მუშაობა. სწორედ პარტიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ამ საქმეში ფასდაუდებელი სამსახური გაუწიონ მრეწველობას. პარტიის საოლქო კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები უფრო ახლოს დგანან საწარმოებთან, ვიდრე სახალხო კომისარიატები. პარტიის საოლქო კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები ყოველნაირად უნდა დაეხმარონ სახალხო კომისარიატებს და მგეგმავ ორგანოებს ოლქის, ქალაქის საწარმოთა შორის სწორი სამეურნეო ურთიერთობის შექმნაში, ქარხნებისა და ფაბრიკების სწორ კოოპერირებაში.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ ნედლეულისა და მასალების მთელი ადგილობრივი რესურსები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოწყობილობის სიმძლავრე, ყოველნაირად გავავითაროთ ინსტრუმენტის წარმოება ადგილობრივ, წავახალისოთ მოწყობილობის მოდერნიზაცია — აი რა არის საჭირო იმისათვის, რომ უკლებლივ ყველა ევაკუირებული საწარმო სანიმუშოდ მუშაობდეს და დღითი-დღე გაადიდოს ფრონტისათვის პროდუქციის გამოშვება.

მხოლოდ უთავურ ადამიანებს შეუძლიათ ისე მოეკიდონ ევაკუირებულ საწარმოს, როგორც „სხვისას“. ამჟამად ყოველგვარი კუთხური განწყობილება, ყოველგვარი ვიწრო უწყებრიობა, ახალი საწარმოებისადმი ძველი ადგილობრივი საწარმოების სულ მცირედი დაპირისპირებაც კი დანაშაული იქნება. პირიქით, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ისეთი ვითარება უნდა შექმნან, რომ ძველი საწარმოები ყოველნაირად დაეხმარონ ახლებს, რომ ძველ საწარმოთა კოლექტივებმა მეგობრულად შეუწყონ ხელი ახლად მოსულ კოლექტივებს. საჭიროა, რათა ადამიანები სწრაფად შეეწყონ ახალ ადგილებს, კარგად გრძნობდნენ თავს და შეეძლოთ დიდი ნაყოფიერებით მუშაობა.

როგორც ჩვენი კორესპონდენტი ირკუტსკიდან იუწყება, იქ ერთხანს უპატრონოდ ეყარა უკრაინიდან გადატანილი ერთი მაკარონის ფაბრიკის მოწყობილობა. ერთ-ერთ ევაკუირებულ ქარხანას ირკუტსკის ოლქში წარმოება სექტემბერში უნდა დაეწყო, მაგრამ იგი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერასა და დახმარებას მოკლებული, მუშაობას დაგვიანებით შეუდგა. ნუთუ ირკუტსკელ ხელმძღვანელებს არ ესმით, რომ ჩვენი მრეწველობის რესურსების გამოყენებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია?! უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენში ერთეული შემთხვევებიც კი არ იყოს, რომლებიც რაიმეთი მოგვაგონებენ ირკუტსკის შემთხვევას. ამჟამად მთელი მრეწველობა, თითოეული ჩარხი მთელი სიმძლავრით, მთელი ძალით უნდა მუშაობდეს ფრონტის მოსამარაგებლად!

ზურგი ეხმარება ფრონტს! აღმოსავლეთის რაიონების მრეწველობა მძლავრი არსენალია წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოსამარაგებლად. აღმოსავლეთის მრეწველობა, ათობით და ასობით ევაკუირებული ქარხნებით შევსებული, ჩვენი რეზერვების სამჭედლო გახდა. ჩვენი მრეწველობის ძალა იზრდება და შემდეგშიც გაიზრდება. თავხედი გერმანელი დამპყრობნი ამას უკვე გრძნობენ, ხოლო მალე კიდევ უფრო ძლიერად იგრძნობენ თავის თავზე!

„პრავდის“ მოწინავე, 3/XII.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 3 დეკემბრის დილის ცნობა

2 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარის ნაწილები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

ამხ. ლანსკის გვარდიის საარტილერიო ქვეგანაყოფმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, გერმანელთა წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში მოსპო მტრის 64 ავტომანქანა, 1 საარტილერიო და 11 ნაღმსატყორცნი ბატარია და 30-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. არტილერისტებმა ერთ-ერთი უკანასკნელი დაშენით გაჟლიტეს 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამხ. ტროფიმოვის მფრინავებმა, რომლებიც დასავლეთის ფრონტზე მოქმედებენ, ერთ დღეში მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, 139 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და სამხედრო ტვირთითურთ, ჩააჩუმეს 16 საზენიტო წერტი და გაჟლიტეს მტრის 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე დღეს მფრინავებმა მოსპეს და აეროდრომებზე დააზიანეს გერმანელთა 14 თვითმფრინავი.

* * *

უმცროსმა ლეიტენანტმა ლიუბეზნოვმა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ცეცხლით მტრის 3 ტანკი მოსპო.

* * *

ფაშისტი არამზადები განაგრძობენ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობის რბევასა და აწიოკებას. ლენინგრადის ოლქის სოფელ ვოინოსოლოვოში, სემეისკოესა და როგოჟიცში გერმანელმა დამპყრობლებმა გაძარცვეს გლეხები, ყველგან წაართვეს არამარტო პური და პირუტყვი, არამედ მთელი თეთრეული და თბილი ნივთები. ფაშისტები ყოველდღიურად ერეკებიან მოსახლეობას იძულებით სამუშაოზე. მცხოვრებლებს დღეში 16 საათს ამუშავებენ, გზებს აკეთებინებენ, ლითონის ჯართსა და ყუმბარის ჰილზებს აგროვებინებენ. მუშაობისათვის არავითარ საზღაურს არავის არ აძლევენ. ვინც სამუშაოზე დაიგვიანებს, მათ გერმანელები აპატიმრებენ და გამოურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ. ათობით ადამიანი დახვრიტეს. ჰიტლერელი ჯალათები მხეცურად გაუსწორდნენ სოფელ ბაბინოს გლეხებს. სოფელში ჩამოხდა გზად მიმავალი რამდენიმე გერმანელი ოფიცერი. მათ მოითხოვეს ჩიგირინის ხუტორების გზა გვიჩვენეთო. ერთმა კოლმეურნემ შეასრულა მათი მოთხოვნა. მაგრამ ოფიცერთა მსუბუქ მანქანას რამდენიმე კილომეტრიც არ გაევლო აღნიშნულ გზაზე, რომ იგი ნაღმს წააწყდა და აფეთქდა. მეორე დღეს სოფელს თავს დაესხა დამსჯელი რაზმი. ფაშისტმა მტარვალებმა ყველა მამაკაცი და ქალი ოდნავ გაყინულ გუბურაში ჩაჰყარეს, დაუმიზნეს ტყვიამფრქვევები და განუცხადეს: „სანამ არ გამოტყდებით, თუ ვინ დანაღმა გზა, წყალში იდგომებითო“. თავისი თანასოფლელნი რომ ეხსნა წამებისაგან, კოლმეურნემ, 60 წლის ტარას მოროზოვმა ბრალი თავის იდო. ფაშისტებმა სულ მთლად გადაბუგეს სოფელი, ხოლო მოროზოვი და ყველა მამაკაცი ბანაკში გარეკეს, სადაც ისინი აწამეს და დახვრიტეს.

* * *

ჰოლანდიელი პატრიოტები, მიუხედავად ფაშისტთა უსასტიკესი ტერორისა, არ სწყვეტენ გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლას. ამსტერდამში თითქმის ყოველდღე იკარგებიან გერმანელი ჯარისკაცები, რომელთა გვამებსაც ხელისუფლების წარმომადგენელნი თხრილებში ან ყრუ შესახვევებში პოულობენ. ამას წინათ დიდი ხანძარი გაჩნდა ფოკერის საავიაციო ქარხანაში. ცეცხლმა მოსპო მთელი საქარხნო შენობები. ხანძრის შედეგად მოსპობილია აგრეთვე ჰიტლერის საოკუპაციო არმიის ბენზინისა და ფურაჟის დიდი მარაგი.

* * *

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის რაიონების ქვანახშირის მეშახტეები გმირულად იბრძვიან ნახშირის ამოღების გადიდებისათვის. კალინინის სახელობის შახტის (მოლოტოვის ოლქის დაბა გუბახა) ძველმა მაღაროელმა, პენსიონერმა ჰუსეინ ისმაილოვმა წინადადება შეიტანა — აღედგინათ 10 წლის წინათ მიტოვებული შახტი. „ანდრეევუგოლის“ ტრესტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ამხ. ისმაილოვის ინიციატივას. მუშაობას აწარმოებდნენ ისმაილოვი და პენსიონერი მაღაროელები: ამხ. შალაგინი, ქარიმოვი, შიბაევი და სხვები. მოკლე ხანში პენსიონერებმა, რომელთაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ დიასახლისები, აღადგინეს შახტი, საიდანაც ახლა ქვანახშირს იღებენ. იმავე ტრესტის პირველი მაისის სახელობის შახტის მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. პასუხად ამხანაგ სტალინის მოწოდებისა — ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ ფრონტსო — მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს ყოველდღიურად გადაჭარბებით შეასრულონ ცვლის დავალება. ამჟამად შახტი სისტემატურად 10-15 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. ყარაგანდის № 33/34 შახტის მემანქანემ ამხ. ტიუტიაევმა, რომელიც სტალინურ ვახტზე დადგა, ვალდებულება იკისრა ორი-სამი ნორმა შეასრულოს ცვლაში. მან ნოემბრის 23 დღის განმავლობაში 721 პროცენტით შეასრულა თვიური ნორმა. ყირგიზეთის ქვანახშირის აუზის მაღაროელებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს გამომუშავება. ისინი ახლა 20 პროცენტით მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე წლის პირველ ნახევარში. ჯალის, ყიზილ-კიის შახტების კოლექტივები და წოლხვრელი „კაპიტალნაია“ უკვე მეორე წლიური ნორმის ანგარიშში იძლევიან სათბობს.

### 3 დეკემბრის საღამოს ცნობა

3 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

2 დეკემბერს მოსპობილია გერმანელთა 58 თვითმფრინავი. ჩვენ 17 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

2 დეკემბერს ჩვენმა ავიაციამ მოსპო და მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა 154 ტანკი, 1.114 ავტომანქანა ჯარებითა და ტვირთითურთ, 50 საველე და საზენიტო ქვემეხი, 15 ავტოცისტერნი საწვავი, 254 საზიდარი ტვირთითურთ, დახოცილი და გაფანტულია მტრის დიდძალი ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ამხ. გეტმანის ნაწილის არტილერისტებმა უკანასკნელ ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 9 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა და დახოცეს მტრის მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამხ. ბონდარევის ნაწილებმა, რომლებიც ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, 10 დღის ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 20 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი, ბევრი ავტომატი და ტანკსაწინააღმდეგო თოფი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედ ამხ. ხერგეევისა და ალექსეენკოს ქვეგანაყოფთა მებრძოლებმა ერთი დღის განმავლობაში ხელთ იგდეს გერმანელთა 28 ტანკი, 41 ავტომანქანა, 21 ქვემეხი, 14 ტყვიამფრქვევი, 400 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და მრავალი სხვა საჭურველი.

* * *

ყირიმის პარტიზანებმა 2 დღის განმავლობაში, არა სავსებით სრული ცნობებით, დახოცეს 150-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 11 საბარგული, 4 დაზგის ტყვიამფრქვევი და 3 ავტოცისტერნი საწვავი. ყირიმში წარმატებით მოქმედებენ პარტიზანი სნაიპერები. 10 დღის განმავლობაში სნაიპერებმა მოსპეს 312 გერმანელი ჯარისკაცი და 39 ოფიცერი. ტულის ოლქის იმ რაიონებში, რომლებიც გერმანელებს აქვთ დაპყრობილი, პარტიზანებმა გათენებისას იერიში მიიტანეს მტრის ცხენებიან ალალზე. შეტაკების დროს მათ დახოცეს გერმანელთა 22 ჯარისკაცი, მოსპეს 17 ცხენიანი საზიდარი სურსათითა და თბილი ტანსაცმლითურთ, რაც ფაშისტებს ნაძარცვი ჰქონდათ ოკუპირებულ სოფლებში. სმოლენსკის ოლქის პარტიზანებმა დასწვეს გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელიც იძულებით დაეშვა ძირს, მოსპეს მისი ეკიპაჟი და 3 ფაშისტი ოფიცერი, რომელთაგან ერთს პოლკოვნიკის ხარისხი ჰქონდა.

* * *

მშრომელებს განუწყვეტლივ შეაქვთ თავიანთი წვლილი სსრ კავშირის თავდაცვის ფონდში. 1 ნოემბრისათვის შემოსულია 916,9 მილიონი მანეთი ფულად, 1.294.395 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები, ბევრი პლატინი, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ნივთები და უცხოეთის ვალუტა. 1 დეკემბრისათვის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და მოსკოვის საქალაქო კანტორის მთავარ სალაროში ქალაქ მოსკოვის მშრომელებისაგან შემოსულია 98.628 ათასი მანეთი ფულად. გარდა ამისა, მოსკოველებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 5.527 მანეთის ოქროს ფული, 2 კილოგრამი და 215 გრამი პლატინი, 7 კილოგრამი და 862 გრამი ოქრო, 393 კილოგრამი და 486 გრამი ვერცხლი და სხვა ფასეულობა. კოლმეურნეებს სამშობლოს თავდაცვის ფონდში შეაქვთ მარცვლეული, ხორცი, ბოსტნეული, მატყლი, რძის პროდუქტები. ალტაის მხარის სმოლენსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ბურევესტნიკის“ კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 120 ფუთი ხორცი, 2.400 ფუთი პური. კოლმეურნეობა „პამიატ ჩკალოვამ“ თავდაცვის ფონდში შეიტანა 1.800 ფუთი პური. კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ, კოლმეურნეობა „საბჭოების VII ყრილობამ“, სტალინის სახელობის და კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებმა თავდაცვის ფონდს გადასცეს 7.950 ფუთი მარცვლეული.

## ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გენერალი ვ. სიკორსკი

3 დეკემბერს, საღამოს კრემლში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანადასწრებით, მიიღო პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენერალი ვ. სიკორსკი. გენერალ სიკორსკის თან ახლდნენ პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი კოტი და სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი პოლონეთის არმიის სარდალი გენერალი ანდერსი. საუბარმა ორ საათზე მეტ ხანს გასტანა.

## მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენერალი ვ. სიკორსკი

ამა წლის 2 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენერალი ვ. სიკორსკი, რომელსაც ახლდნენ პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი კოტი, სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფ პოლონელთა არმიის სარდალი გენერალი ანდერსი, გენერალი შიშკო-ბოგუში და სხვები, აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგე ამხ. ნ. ვ. ნოვიკოვი და თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ვ. ნ. ევსტიგნეევი.

აეროდრომზე გენერალ ვ. სიკორსკის შეხვდნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის შინსახკომის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი ა. ნ. აპოლონოვი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ა. იასნოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი კ. რ. სინილოვი, გენერალური შტაბის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სსრ კავშირის ტერიტორიაზე პოლონელთა არმიის შედგენის ხაზით გენერალ-მაიორი ა. პ. პანფილოვი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი გ. ს. ჟუკოვი.

შეხვედრისას დაყენებული იყო საპატიო ყარაული. აეროდრომი მორთული იყო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ზაირალებით.

## პროფკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობა ფულის და ნივთების ლატარიის ბილეთების გავრცელებაში

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დადგენილება მიიღო მშრომელთა შორის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გავრცელებაში პროფკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობის შესახებ. პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ — ყველა მუშასა და მოსამსახურეს ფართოდ განუმარტონ ლატარიის მნიშვნელობა. სახკრედიტოსა და სამემნახველო საქმის ხელშემწყობს კომისიებში სამუშაოდ, ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებსა და მოსახლეობაში ბილეთების გამავრცელებლ რწმუნებულებად უნდა გამოყოფილ იქნენ პროფკავშირული აქტივისტები.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა შეამოწმონ ლატარიის რეალიზებული ბილეთების ფულის დროული გადარიცხვა შემნახველ სალაროებში და მოაწყონ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ამ ბილეთების მიცემის კონტროლი.

პროფკავშირთა საბჭომ მუშებსა და მოსამსახურეებს მოუწოდა — შეიძინონ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები და ამით დაეხმარონ საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ფაშისტთა ბანდების წინააღმდეგ. (საკ-დესი).

## საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ, მშრომელთა მიერ გამოთქმული სურვილის დასაკმაყოფილებლად დაადგინეს: სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრის—დღესასწაული არ იქნას გადახდილი და 1941 წლის 5 დეკემბერი სამუშაო დღედ ჩაითვალოს.

## აზერბაიჯანის დედაქალაქის ინტელიგენციის კრება

**ბაქო,** 30 ნოემბერი (საკდესი). ორი ათასზე მეტი ინჟინერი, ტექნიკოსი, მსახიობი, მწერალი, ექიმი, პედაგოგი და წითელი არმიის მეთაური შეიკრიბა ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, რათა განეხილათ ამოცანები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ქვეყნის წინაშე, საბჭოთა ინტელიგენციის წინაშე დასვა თავის მოხსენებაში მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 6 ნოემბერს.

აზერბაიჯანის დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრება გახსნა ორდენოსანმა პროფესორმა ამხ. თოფჩიბაშევმა. **მარქს-ენგელს-ლენინის** ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა **მ. ბ. მიტინმა** გააკეთა მოხსენება თემაზე „ამხანაგ სტალინის მოხსენება და საბჭოთა ინტელიგენციის ამოცანები“.

ტრიბუნაზე ადის პოეტი სამედ ვურგუნი. იგი ლაპარაკობს ფაშიზმის ბარბაროსულ ბუნებაზე, ფაშიზმისა, რომელიც ანგრევს საუკუნეებით შექმნილ საკაცობრიო კულტურას.

პოეტმა თავისი გამოსვლა დაამთავრა საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო მეგობრის ამხანაგ **სტალინისადმი** მიმართული მგზნებარე პატრიოტული ლექსებით.

ამხანაგ **სტალინის** მიერ ტექნიკური ინტელიგენციის წინაშე დასმული ამოცანების შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში ინჟინერმა ამხ. ტაიროვამ.

მქუხარე ოვაციით შეხვდნენ დამსწრენი წინადადებას ამხანაგ **სტალინისათვის** მისალმების გაგზავნის შესახებ. კრებაზე მიღებულ მისასალმებელ წერილში გამოთქმულია გრძნობები და აზრები აზერბაიჯანის მთელი ინტელიგენციისა, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია სამშობლოსი, პარტიისა, **სტალინისა.**

## გერმანელების პანიკური უკანდახევა სამხრეთში

**სამხრეთის ფრონტი,** 2 დეკემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). სამხრეთის ფრონტის ჯარები კვლავ მიერეკებიან კლაისტის ჯგუფის ნაშთებს, რომლებიც როსტოვიდან დასავლეთისაკენ იხევენ. მტერი უკან იხევს დაქსაქსულ ჯგუფებად, არაორგანიზებულად. მარტო ცალკეული პატარა ჯგუფები, რომლებიც მევტომატეებისაგან შესდგებიან, წინააღმდეგობას გვიწევენ ტანკების დახმარებით. ეს ჯგუფები ხანგრძლივ ბრძოლას ვერ უძლებენ და ხელსაყრელ ზღუდეებზედაც კი ვერ ჩერდებიან. თავზარდაცემული ფაშისტები უკან დახევისას ჰყრიან მატერიალურ ნაწილს, იარაღსა და საჭურველს.

ჩვენი ჯარის ნაწილები მტერს პარალელურადაც სდევნიან. საბჭოთა კავშირის გმირის, შეპეტოვის ერთ-ერთმა ქვეგანაყოფმა გადასჭრა გზა, რომლითაც უკან იხევდა მტრის კოლონა, რამდენიმე ათეული მანქანისაგან შემდგარი. მებრძოლებმა უეცარი თავდასხმით მოსპეს 20 ავტომანქანა ქვეითი ჯარითურთ. ამავე დღეს მეორე ქვეგანაყოფმა ხელთ იგდო 41 ავტომანქანა, 21 ქვემეხი, 3 ტანკი და 14 ტრაქტორი.

უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში გერმანელები 55 კილომეტრზე უფრო შორს უკუიქცნენ. დღეს, დილით, ჩვენი ნაწილები ტაგანროგიდან უკვე 8 კილომეტრზე იმყოფებოდნენ. უკანდახეულ ჯარებს რომ მიმართულება მისცენ, გერმანელები გზაში აკეთებენ მაჩვენებლებს წარწერით: „მარიუპოლი“.

დაბალი ღრუბლიანობისა და თოვლის მიუხედავად, ამხ. ვერშინინის მფრინავებმა ტაგანროგის მიმართულებით მოსპეს 160-მდე საბარგული, 4 ტანკი, 17 მოტოციკლი, 14 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 4 საველე ქვემეხი, ბენზინიანი ცისტერნი, 2 ტრაქტორი, ქვემეხების 3 ჯუნდი და 800-მდე გერმანელი ქვეითი ჯარისკაცი.

ტყვეები გადმოგვცემენ, რომ ფაშისტები ვერას გზით ვერ ახერხებენ თავიანთი ჯარების მომარაგებას თბილი ნივთებით. მათ, როგორც წესი, ზამთრის ჩაცმულობა ჯერ კიდევ არ მიუღიათ. ამ ჩაცმულობით ჯერჯერობით ამარაგებენ (ისიც არასრულად) მოტოციკლისტებსა და ტანკისტებს. მაგალითად, მოტოციკლისტებს ეძლევათ ხელთათმანები და სამუხლეები, უკეთეს შემთხვევაში — დაბამბული ტანისამოსი, ფარაჯებზე ჯერ კიდევ მხოლოდ ოცნებობენ. მე-60 მოტოდივიზიის ტყვეები ამბობენ, რომ ჯარისკაცები გაიყინენ.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული საზვერავი ბრძოლაა. რიაბოვის ნაწილის ერთ-ერთი ქვეგანაყოფი თავს დაესხა სადგურს, სადაც მოსპო 15 საცეცხლო წერტი, 15 ავტომანქანა, 50 იტალიელი.

ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ფაშისტები თავს უყრიან ახალ ნაწილებს და, ალბათ, ცდილობენ ახალი დაჯგუფება შექმნან. აქ თავმოყრილია იტალიელთა 2 ახალი დივიზია „კუნიო“ და „ტოსკანა“. ამ დივიზიების ჯარისკაცებმა ვერც კი მოასწრეს ახალ ფრონტზე გამოჩენილიყვნენ, რომ უკვე ტყვედ გვნებდებიან. იტალიელები თბილი ტანისამოსის უქონლობასა და ცუდ კვებას უჩივიან.

ბატალიონის კომისარი

ტ. ლილინი.

„კრასნაია ზვეზდა“, 3 დეკემბერი.

## ბრძოლით დაბრუნებულ როსტოვში

**სამხრეთის ფრონტი,** 1 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენ დონით როსტოვში მივდივართ. წინ არის ციცაბო ბორცვებზე მიმავალი ქუჩები. ისინი გახვეული არიან ჯერ კიდევ ჩაუქრობელი მრავალი ხანძრის კვამლში, ხანძრისა, რომლითაც აღნიშნულია გაქცეული მტრის ნაკვალევი. მარჯვნივ და მარცხნივ მდინარის ყინულზე როსტოვისაკენ მოდის დიდძალი ხალხი, მოაქვთ ტომრები, ჩემოდნები, მოჰყავთ ხელში აყვანილი ბავშვები. ეს მშობლიურ ქალაქში ბრუნდებიან მცხოვრებნი რომელნიც გერმანელ ოკუპანტებს გაექცნენ. ისინი ველარ სცნობენ თავის ქალაქს. ჩვენ მივდივართ დამსხვრეული და აოხრებული მაღაზიებისა და საწყობების ახლოს, ფაშისტი მძარცველების მიერ დაცარიელებული ბინების ახლოს, ქუჩები სავსეა ხალხით. ადამიანები სიხარულით ეგებებიან წითელ არმიელებს, ეხვევიან მათ, სთავაზობენ პაპიროსს, პურს, შაქარს, ყველაფერს უნაწილებენ, რაც კი გადაუმალეს ქალაქში მოთარეშე ფაშისტებს და უამბობენ მათ თუ რა დღეები გამოიარეს.

— ამხანაგებო, შეხედეთ, რა უქნიათ წყეულ მხეცებს,—ამბობენ მცხოვრებნი და ნოლნაია ქუჩის კუთხისაკენ მიჰყავთ წითელარმიელები. ჩვენ გავიარეთ ქალაქის ცენტრი. აქ ფაშისტებს გადაუწვავთ და მოუსპიათ რადიოკომიტეტის შენობა, სასტუმრო „დონი“, მაღაზიები. აი, ნოლნაია ქუჩაც კუთხეში ქვაფენილზე გდია ბავშვი. ნატყვიარი ჭრილობა აჩნია კეფაზე. ბავშვი შეეჩეხა უკანდახეულ გერმანელებს. მისი სახელია ვანია, გვარი პეტრიკოვი. ეს გამოირკვა მოწაფის ბილეთის მიხედვით. უკან დახევისას ფაშისტებმა ყველგან სისხლიანი კვალი დასტოვეს. სომხების სასაფლაოზე მათ ასზე მეტი მამაკაცი და ქალი დახვრიტეს. მათ ისინი სასიკვდილოდ მიჰყავდათ და კონდახს სცემდნენ ბავშვებს, რომელნიც ემუდარებოდნენ მათ, ჩვენს მშობლებს სიცოცხლე შეუნარჩუნეთო. მათ არავინ დაინდეს.

პროლეტარსკის რაიონში მათ დახვრიტეს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის სახლის ყველა მცხოვრები. ისინი აუპატიურებდნენ ქალიშვილებს და შებილწვის შემდეგ სიცოცხლეს ასალმებდნენ მათ.

ფაშისტმა მხეცებმა აწამეს ქარხანა „სელმაშის“ მუშა ორლოვი; მახვილის დაკვრით დაუმტვრიეს ძვლები, თვალები დასთხარეს, გააშიშვლეს და ცოცხალ-მკვდარს ქუჩა-ქუჩა ათრევდნენ. ვაგზლის გზაზე, იქ, სადაც ენგელსის ქუჩა მიდის ტყვიით დაცხრილული, გერმანელების მიერ გადაბუგული ვაგზლის შენობისაკენ, მათ ხეებზე ჩამოახრჩეს ორი მოზარდი.

მოსისხლე მტერმა ქალაქი ისეთი პანიკური აჩქარებით დასტოვა, რომ ბევრი თავაშვებული ბანდიტი გაფრთხილებული არ იყო უკან დახევის შესახებ. როსტოვის მშრომელები ჰიტლერელთა ნაშთებს იჭერენ. გუშინ ქალთა ჯგუფმა კომენდანტს მიუყვანა „სს“ დივიზიის ჯარისკაცი, რომელიც სადღაც სარდაფში დამალულიყო. დღეს ქუჩაში შეპყრობილია სამოქალაქოდ გადაცმული ოფიცერი ამ დივიზიისა იოჰანეს ველგერი, მცხოვრებლებმა იცნეს, რომ იგი ვაგზალთან ჩამოხრჩობილ მოზარდთა წამების ერთ-ერთი მონაწილე იყო.

სიცოცხლით ივსება ქალაქი, რომლის ქუჩები გერმანელთა იქ ყოფნის დროს უკაცრიელი და ჩამკვდარი იყო. ქუჩებში ყველგან მოსახლეობა წითელ არმიას სიხარულით ალსავსე შეხვედრას უმართავს განუწყვეტლივ.

ვ. ხოდაკოვი

## გააფთრებული ბრძოლები კლინისა და ვოლოკოლამსკის მიმართულებებით

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

დასავლეთის ფრონტიდან „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტ ლიდოვის ცნობით, განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს კლინისა და ვოლოკოლამსკის მიმართულებებით. კლინის მიმართულებით მტერი კვლავ ვერ ახერხებს სამხრეთისაკენ გაჭრას. მან დიდი ძალები მოაყარა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და წამოიწია აღმოსავლეთისაკენ. ვოლოკოლამსკის მიმართულებითაც მტერმა რამდენადმე შეგვავიწროვა. „უკანასკნელ დღეებში,—სწერს ლიდოვი, — მტერმა ძირითადი ღონისძიებები წარმართა თავის ფლანგებზე, რომლებიც წამოსწია აღმოსავლეთისაკენ და გადახარა ჩრდილოეთისაკენ. ამრიგად, დაისახა მოსკოვის თავდაცვის ერთერთ უბანზე დარტყმის საფრთხე, აგრეთვე საფრთხე ზოგიერთი გზისათვის. ანვითარებს რა წარმატებას თავის ფლანგებზე გერმანიის სარდლობა ამით კიდევ უფრო გრძლად სჭიმავს და, მაშასადამე, მეტისმეტად სძაბავს თავის ფრონტს. ფლანგებზე გერმანიის ნაწილების მომარაგება და საომარი მასალებით უზრუნველყოფა, კერძოდ, აქ დიდი რაოდენობით თავმოყრილი ტანკების მომარაგება, თანდათან უფრო გაძლიერებულ სიძნელეებს აწყდება. ამავე დროს დღითი დღე ძლიერდება ჩვენი წინააღმდეგობა შეტევაზე გადმოსული გერმანიის ჯარების ფლანგებზე“.

ლიდოვის კორესპონდენციაში აღნიშნულია გერმანელთა დიდი ზარალი მოსკოვის მახლობლად. ნოემბრის შემოტევის პირველი ათი დღის განმავლობაში მათ მოსკოვის მისადგომებზე დაჰკარგეს 330 ტანკი. „გერმანიის საომარი მანქანა,—სწერს ლიდოვი,—დაძაბულია უკიდურეს ზომამდე და საეჭვოა, რომ მან დიდხანს შესძლოს ამ დაძაბვის ატანა. მაგრამ ამჟამად საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს მოსკოვს, გაიზარდა. შეტევაზე გადმოსულ მტერთან ბრძოლა მოითხოვს მოსკოვის თითოეული დამცველის კიდევ მეტ სიმტკიცეს, სიმედგრესა და სიმამაცეს“.

ვ. ყარა-მურზა.

# მივცეთ ფრონტს რაც შეიძლება მეტი სურსათი!

ამ მრისხანე დღეებში, როდესაც საბჭოთა ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა გერმანიის პირსისხლიან ფაშისტებთან, მახარაძის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები გაძლიერებული ტემპებით მუშაობენ. საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში თავგამოდებული შრომით ჩვენი ქვეყნის პატრიოტები სჭედენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

რაიონმა უკვე შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარა 12.679.300 კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. წელს რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვ მოსავალს იღებენ. უნდა დამზადდეს ციტრუსოვანთა 40 მილიონი ცალი მაღალხარისხოვანი სტანდარტული ნაყოფი. ციტრუსების კრეფა მასობრივად გაჩაღდა. მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კარგად მოემზადნენ აგრეთვე ციტრუსოვანთა ყინვებისაგან დასაცავად. კოლმეურნეობები იმარაგებენ პირუტყვისათვის უხეშ, კონცენტრირებულ და წვნიან საკვებს, რომ სანიმუშოდ გამოაზამთრონ განსაზოგადოებული საქონელი.

სამამულო ომის დღეებში რაიონის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გამრავლდა ორასოვანთა რიგები. აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნის მუშები ბ. მეგრელაძე, გ. ბარამიძე, ს. მგელაძე, ნ. გობრონიძე ორასზე მეტი პროცენტით ასრულებენ სამუშაოს ნორმებს, ხოლო თ. ხუხუნაიშვილი, ს. ჯიქია და ც. ღლონტი სამასზე მეტი პროცენტით. სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი მარო ბოლქვაძე სამუშაო ნორმას 300-400 პროცენტით ასრულებს. სოფ. მელექედურის კოლმეურნეობის ბრიგადირი ბ. ხინთიბიძე ყოველდღიურ საწარმოო დავალებას ასრულებს 200 პროცენტით, სოფ. მაკვანეთის კოლმეურნეობის წევრი მ. ბაბილოძე—150-280 პროცენტით, სოფ. ნაგომრის კოლმეურნეობის წევრი ქ. წიტაიშვილი—200-ზე მეტი პროცენტით, სოფ. ასკანის კოლმეურნეობის წევრი ა. ვახაძე—200 პროცენტით.

მთელი საპროპაგანდო-სააგიტაციო მუშაობა რაიონში წარმართულია ომიანობის პირობების შესაბამისად. რაიონში ფართოდ არის გაშლილი ბოლშევიკური აგიტაცია. მუშაობს 675 აგიტატორი. ჩამოყალიბებულია 37 აგიტკოლექტივი. სამამულო ომის დღეებში ჩატარებულია 70-ზე მეტი ლექცია-საუბარი სამამულო ომისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

რაიონში ფართოდ არის გაშლილი მასობრივი თავდაცვითი მუშაობა. მშრომელები წარმატებით ეუფლებიან სამხედრო ცოდნას, რომ პირველი საჭიროებისთანავე მკერდით, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან ჩვენი ძვირფასი სამშობლო. მახარაძის რაიონის მუშებმა, მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, დიასახლისებმა თავიანთი მხურვალე პატრიოტული გრძნობები გამოხატეს იმით, რომ დიდი აღფრთოვანებით შეიტანეს თავიანთი წვლილი თავდაცვის სახალხო ფონდში. უდიდესი აქტივობით მიმდინარეობს წითელი მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმელის შეგროვება.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებამ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1941 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე და მისმა სიტყვამ წითელი არმიის პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე მშრომელთა უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია, კიდევ უფრო განამტკიცა მათი რწმენა ჰიტლერის პირსისხლიან ძაღლებზე საბოლოო გამარჯვებისა და აღაფრთოვანა ისინი ახალი შრომითი საქმეებისათვის.

ჩვენი წმინდათა-წმინდა ვალია შეუსვენებლივ ვიმუშაოთ ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის საბრძოლო ლოზუნგების განსახორციელებლად. მივცეთ ფრონტს რაც შეიძლება მეტი სურსათი და ყველაფერი გავაკეთოთ ჰიტლერელთა ურდოების სრული განადგურებისათვის.

ბ. ჟურაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი

# ფართოდ გავშალოთ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა

ფოთის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებას და 7 ნოემბრის სიტყვას. ბელადის მითითებათა საფუძველზე დაიწყო პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გარდაქმნა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკითხი დიდი სტალინის მოხსენებაში მოცემულ მითითებათა განხორციელების ღონისძიებათა შესახებ. ჩატარდა პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა, აგიტატორთა და კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი, რომელზეც დამუშავდა კონკრეტული ღონისძიებანი ბელადის მითითებათა რეალიზაციისათვის.

ყოველდღიური ბოლშევიკური აგიტაცია გახდა ბელადის მითითებათა საფუძველზე დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა წარმატებით შესრულების მძლავრი იარაღი. რკინიგზის სავაგონო დეპოში, „გრესის" მექანიკურ ქარხანაში, რკინიგზის სადგურში და პატარა ფოთში, სადაც პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად დააყენეს მასობრივი სააგიტაციო მუშაობა, აღებული ვალდებულებანი დიდი გადაჭარბებით სრულდება.

აგიტატორები თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ წარმოების პრაქტიკულ საკითხებს, რაც დიდად უწყობს ხელს სამუშაო პროცესების დაჩქარებას. ხშირ შემთხვევაში თვით აგიტატორები იძლევიან საწარმოო დავალებათა შესრულების სანიმუშო მაგალითებს. რკინიგზის სავაგონო დეპოს აგიტატორი ამხ. ვ. ნიკიფოროვი 300-350 პროცენტით ასრულებს გეგმას. ერთი თვის წინათ დეპოს მუშათა ჯგუფში, სადაც ის ატარებს აგიტაციას, ორი ორასოვანი იყო, ახლა კი უკვე ექვსია. ფოთის ნავსადგურის შემკეთებელ ბრიგადას აგიტატორი ამხ. შ. კუპუხიძე ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა გეგმას სისტემატურად 200 და მეტი პროცენტით ასრულებს.

საწარმოო ფრონტზე ასეთსავე მაღალ მაჩვენებლებს გვაძლევენ აგიტატორები იზორია, ვაჩეიშვილი, კიკალეიშვილი და სხვ.

სააგიტაციო მუშაობის გაშლას დიდად შეუწყო ხელი ლექციებისა და მოხსენებების ორგანიზებულად გამართვამ. სამამულო ომის განმავლობაში ჩვენ შევძელით 25-მდე ლექციის ჩატარება, რომელთა დიდი უმრავლესობა ჩვენი ხალხის გმირული წარსულის ცალკეულ საკითხებსა და ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას შეეხება.

ქალაქისა და ნავსადგურის ცენტრალურ აგიტპუნქტთან შექმნილია მოძრავი აგიტბრიგადები, რომელთა შემადგენლობაში შედიან მოწინავე პროპაგანდისტები და აგიტატორები, სამხედრო საქმის სპეციალისტები, ექიმები, მსახიობები, აგრონომები და სხვ. აგიტბრიგადები საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და უბნებში აწყობენ სააგიტაციო საღამოებს.

მაგრამ სააგიტაციო მუშაობა ყველგან როდია დაყენებული კარგად. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ისევ ძველებურად მუშაობს. ქალაქის საბჭოს და საქვაჭრობის ფოთის განყოფილების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს სააგიტაციო მუშაობის ახლებურად გარდაქმნა. ქალაქის საბჭოსთან არსებული აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. გ. ჯოჯიძე ზოგიერთ აგიტატორს არ იცნობს, იგი იშვიათად აწყობს აგიტსემინარს და მეთოდურ თათბირებს.

ამ დღეებში პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა სააგიტაციო მუშაობის მდგომარეობის საქმე და აღნიშნულ პარტიულ ორგანიზაციებს მისცა მთელი რიგი მითითებანი. ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ღონისძიებანი დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქნას.

ო. ბაბუა

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე.

# სვანი კომკავშირელები

ზემოსვანეთის რაიონის კომკავშირელებმა სამამულო ომის პერიოდში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ზემოსვანეთის ხე-ტყის, „ინგუროქროსა" და ცანის წარმოების კომკავშირელებმა ბევრი რამ გააკეთეს საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში.

კომკავშირელ დ. ხვისტანის ბრიგადა, რომელიც აცის უბანში მუშაობს, ერთერთი მოწინავეა „ინგუროქროს" წარმოების ბრიგადებს შორის. მაგალითად, დ. ხვისტანის ბრიგადამ ოქტომბრის გეგმა 10 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ასევე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს „ინგუროქროს" იფარის უბნის კომკავშირელებმა ი. გულბანმა, დ. თამლიანმა, გ. პირველმა, ფანგანმა, კორძაიამ და სხვ.

ზემოსვანეთის ხე-ტყის წარმოების ტიტას უბანში კომკავშირელი დ. ჩხვიმიანი ხე-ტყის დამზადებისა და ჩამოყრის ყოველდღიურ გეგმას 265 პროცენტით ასრულებს. ასევე ენერგიულად მუშაობენ ხე-ტყის წარმოების კომკავშირელი სტახანოველები: ტ. ნარსავიძე, ვ. ჭკადუა, კ. ჭკადუა, ა. არქანია და სხვ. ახლა ზემოსვანეთის ხე-ტყის, „ინგუროქროს" და ცანის წარმოების კომკავშირელები იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმები სტალინური კონსტიტუციის დღისათვის შეასრულონ.

ზემოსვანეთის კომკავშირელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავდაცვის სახალხო ფონდში. აგვისტოში ჩატარებული კომკავშირული კვირეულის შედეგად თავდაცვის ფონდში ჩარიცხულია 12.750 მანეთი, ხოლო სექტემბერში ჩატარებული კვირეულის შედეგად 8.015 მანეთი.

კომკავშირელმა ქალებმა წითელი მებრძოლებისათვის მოქსოვეს უამრავი ხელთათმანი და წინდა. კომკავშირელი ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მატყლის დამუშავებისა და შალის მოქსოვაში.

სამამულო ომის პერიოდში გაძლიერდა ახალგაზრდობის მისწრაფება სამხედრო ფიზკულტურული საქმისადმი. უკვე რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდამ ჩააბარა ხელჩართული ბრძოლის ნორმები. კომკავშირელები გულმოდგინედ სწავლობენ შაშხანას, გრანატს და სხვა საომარ იარაღებს. მოეწყო ალპინისტური ასვლები პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის მწვერვალებზე. ასვლებში მონაწილეობდა 44 კომკავშირელი. მათ მიიღეს „სსრ კავშირის ალპინისტის" ნიშანი.

ამჟამად ზემოსვანეთის კომკავშირელები ეუფლებიან სათხილამურო სპორტს. ყოველდღიურად სწარმოებს საწვრთნელი ვარჯიშობა. მალე დაიწყება შეჯიბრებები, მოეწყობა გასამხედროებული გადასვლა კავკასიონის ქედზე ყაბარდო-ბალყარეთში და უკან. კომკავშირელები თხილამურებით გადალახავენ უძნელეს მწვერვალებს.

ზემოსვანეთის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ აღზრდილი არაერთი ახალგაზრდა იბრძვის დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ფრონტზე არიან კომკავშირის მიერ აღზრდილნი ორდენოსანი მფრინავი ი. ნავერიანი, ორდენოსანი კაპიტანი ი. გირგვლიანი, მფრინავი ბ. მარგიანი, მებრძოლები ვ. თამლიანი, კ. ჭკადუა და სხვები, რომლებითაც ამაყობს სვანეთის კომკავშირული ორგანიზაცია.

რ. მარგიანი

მესტია.

# 66 ცენტნერი თევზი გეგმის გადამეტებით

საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის თბილისის ქარხანამ თევზის ჭერის 1941 წლის გეგმა ვადამდე — 21 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით დაჭერილია 66 ცენტნერი თევზი. თევზის ჭერა გრძელდება.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თაფარავნის პუნქტის ბრიგადირმა პ. ძემამ, რომელმაც გეგმა 224 პროცენტით შეასრულა, და ტაბაწყურის პუნქტის ბრიგადირმა გ. ნორენკომ, რომელმაც გეგმა შეასრულა 152 პროცენტით.



ზემოსვანეთი. სოფ. ლენჯერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. შუქვანი, მ. მერლანი, მ. ნავერიანი, მ. უდესიანი, ქ. ილდანი, ა. შუქვანი და ი. ჯაჯვანი, რომლებმაც წითელ მებრძოლთათვის მოქსოვეს 80 მეტრი სვანური შალი და რამდენიმე ათეული წყვილი წინდა და ხელთათმანი.

# ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ სტალინური კონსტიტუციის დღეს

## 500 და მეტი პროცენტით

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებებით უპასუხებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებას და წარმატებით აღნიშნავს სტალინური კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს.

დეპოს მუშათა დიდი უმრავლესობა ორასოვანი და სამასოვანია. აქ ბევრი ისეთი სტახანოველიც არის, რომელიც 500 და მეტი პროცენტით ასრულებს დავალებას. ცნობილმა სტახანოველმა ამხ. პ. პივენკომ, რომელსაც რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება ეკუთვნის და რომელიც სამ-ოთხ პროფესიას დაეუფლა, 1 დეკემბერს დავალება 553,2 პროცენტით შეასრულა, — მან 44 საათის სამუშაო 8 საათში გააკეთა. დამამზადებელი საამქროს ახალგაზრდა ზეინკალმა ამხ. ბ. კოვალკომ 62 საათის სამუშაო 8 საათში გააკეთა და დავალება 781,8 პროცენტით შეასრულა. მრანდავმა ამხ. ალ. გოდუნოვმა 8 საათში გააკეთა სამუშაო, რომელიც ორ დღეღამეს მოითხოვდა; მან დავალება 526,6 პროცენტით შეასრულა. სტახანოველმა მხვრეტავმა ამხ. ვ. მანჯგალაძემ გამომუშავების 536,6 პროცენტი მოგვცა. თავდადებულად მუშაობენ ზეინკლები ამხ. დ. წერეთაშვილი და ვ. გოდერძიშვილი.

ლენინელმა მემანქანემ ამხ. გ. ელბაქიძემ საგრძნობლად გაადიდა ტექნიკური სიჩქარე, მატარებელი ადრე მიიყვანა დანიშნულ ადგილზე და 218 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგა. ასევე მოიქცა მემანქანე ამხ. ჩოხიძე. სამამულო ომის დღეებში მემანქანედ დაწინაურებულმა ამხ. აკ. ლომსაძემ, რომელიც № 5084 ორთქლმავალს მართავს, მატარებელი ვადამდე დიდი ხნით ადრე მიიყვანა დანიშნულ ადგილზე და ამავე დროს 438 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგა.

დეპოელი ზეინკლები, ხარატები, მრანდავები და მემანქანეები ერთი მისწრაფებით მუშაობენ — თავდადებული შრომით დააჩქარონ ვერაგი მტრის განადგურება.

## გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელები ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან დიად დღესასწაულს — სტალინური კონსტიტუციის დღეს.

აჭარის ასს რესპუბლიკამ აბრეშუმის პარკის დამზადების მესამე გამოკვების გეგმა 111,5 პროცენტით შეასრულა. ბათუმის რაიონის ტრეხის სასოფლო საბჭომ დაამზადა 1.233 კილოგრამი პარკი, წლიური გეგმის 117 პროცენტი. ქალაქ ბათუმში დამზადებულია 2.196 კილოგრამი პარკი, გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით. ქობულეთის რაიონის დაგვისა და ხუცუბნის სასოფლო საბჭოების მეაბრეშუმეებმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 819 კილოგრამი პარკი ჩააბარეს.

ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკამ ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულა. აქედან უმაღლესი ხარისხის ჩაი დამზადებულია 13.524 კილოგრამი, ანუ გეგმის 120,7 პროცენტი, პირველი ხარისხისა — 55.133 კილოგრამი, გეგმის 135 პროცენტი. წლიური გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს სტახანოველებმა გალუკმა, კურტევამ და პუხკამ.

## ზესტაფონელი მეტალურგების შრომითი აღმავლობა

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები თავდადებულად მუშაობენ, რათა ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ სტალინური კონსტიტუციის დღეს. მთელმა რიგმა საამქროებმა უკვე შეასრულეს ნოემბრის გეგმები. ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც ა. ნ. ორლანტენკო ხელმძღვანელობს, ყოველდღიურ დავალებას ასრულებს 270 პროცენტით, ვლასი ჩიტორელიძის მდნობელთა ბრიგადა — 204 პროცენტით, მე-6 ღუმელის მეორე ბრიგადა — 142 პროცენტით და სხვ. ორასოვნებმა ივანე მელნიკმა, მაქსიმე ციმბალმა, ივანე კასმინიკმა და სხვებმა უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო გააუმჯობესეს მუშაობა. ისინი დღიურ დავალებას 311 პროცენტით ასრულებენ.

ს. მერკვილაძე.

## ომის დროის ტემპებით მომუშავენი

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). ბათუმის დეპოს ყველა მუშაკი ცდილობს მეტი გააკეთოს თავისი სოციალისტური სამშობლოს დიდებისათვის.

სამამულო ომის ამ მრისხანე დღეებში, სავაგონო დეპოში აითვისეს ქვაბების რეცხვის საქმე. დამხმარე საამქრო, სადაც ოსტატია ამხ. გალოგრე, ფართოდ იყენებს ადგილობრივ რესურსებს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც დეპოში ვაგონების ზოგიერთ სათადარიგო ნაწილებს თვითონ აკეთებენ. დამხმარე საამქროს ჰყავს ომიანობის დროის სტახანოველები. კომუნისტი კ. ვაჭარაძე მიცემულ გეგმებს 300 პროცენტით ასრულებს; იგი როცა საჭიროა, მუშაობს დურგლად, ხარატად, მჭედლად. ამასთან ახლა მნიშვნელოვან გამოგონებაზე მუშაობს ახალგაზრდა ხარატი შ. ყაჭეიშვილი ორ დაზგაზე მუშაობს. ყოფილი დამლაგებელი მარია ზაბოლოტინა ომის დღეებში ხარატი გახდა და გეგმას 300 პროცენტით ასრულებს. კომუნისტი მჭედელი ლ. ჰყონია ორასოვანია და უწუნოდ მუშაობს. სამასოვანმა ხარატმა პ. მარკატუნმა წინათ გამოუყენებელი ქანჩისსაჭრელი დაზგა აღადგინა. დამატებით დადგმულ იქნა ხერხი, რომლის უქონლობა მუშა-ხელის მოცდენას იწვევდა.

ბუქსის სატენი ბოლოები ხმარების შემდეგ იყრებოდა. უბნის უფროსის მოადგილე ი. პაქსაშვილის წინადადებით ახლა მას რეცხავენ და ისევ იყენებენ, რაც თვეში 2.000 მანეთის ეკონომიას იძლევა. მექვაბე ა. ნინუამ გააუმჯობესა დაზგა, რომელიც სამუშაო დროს ამცირებს და წელიწადში 2.000 მანეთის ეკონომიას იძლევა. განხორციელებულ იქნა უფროსი ინჟინრის ამხ. კალტუხჩევის წინადადება აგრეგატების პარალელურად შეერთების შესახებ, რითაც დიდი რაოდენობით იზოგება კარბიდი და ჟანგბადი. ხარატმა პ. ზემლიანუხინმა, ოსტატმა, სტალინური გაწვევის ნიშნოსანმა ორაგველიძემ და ნ. სამსონოვმა კოლექტიურად გამოიგონეს მუხრუჭების განმანაწილებელი მექანიკური დაზგა, რომელიც მოქმედებაშია და ყოველწლიურად 4.420 მანეთის ეკონომიას იძლევა.

ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად სავაგონო დეპოში ფართოდ გაიშალა ორასოვანთა, მრავალდაზგოსანთა, პროფესიების შემთავსებელთა მოძრაობა.

ს. ჟურაშვილი

## ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიად დღესასწაულს

ფოთი („კომუნისტის" კორ.). მეაბრეშუმეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 22.641 კილოგრამი პირველხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. 1941 წლის პარკის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 109,8 პროცენტით.

ვ. ჯალაღანია

* * *

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების 1941 წლის გეგმა 117,6 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 86.995 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 102.370 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. მესამე გამოკვების პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 154,2 პროცენტით. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 2.840 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ნ. მერკვილაძე

* * *

ჭიათურა. რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 116 პროცენტით შეასრულა. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 777 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩაბარდა.

* * *

საჩხერე („კომუნისტის" კორ.). რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების 1941 წლის გეგმა 109,8 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 13.640 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ნაცვლად დამზადებულია 14.984 კილოგრამი.

გურჯაანი. გურჯაანის მტს-ის ტრაქტორისტები მაღალნაყოფიერად მუშაობენ. ტრაქტორისტი ქალები ა. ჰუმბურიძე, მ. სირბილაშვილი დღიურ ნორმებს 120-150 პროცენტით ასრულებენ და 3,5 კილოგრამ საწვავ მასალას ზოგავენ.

* * *

გუდაუთი. რაიონის კოლმეურნეებმა თავდაცვის სახალხო ფონდში გადასცეს 33 სული რქიანი პირუტყვი. სოფ. სომხური ათარას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 500 კილოგრამი კარტოფილი და სტაფილო და 100 კილოგრამი ხორცი.

* * *

ქობულეთი. სოფ. ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მ. ტაბიძე, ა. ინაიშვილი, თუნთულ თხილაიშვილი, შ. გოგიტიძე და სხვ. ყოველდღიურ სამუშაო ნორმას 200-220 პროცენტით ასრულებენ. სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა აიშე ცაიავაძემ, ხემიდე ვასაძემ, ა. ხინიკაძემ, მ. ბაჯელიძემ, მ. ხარაზმა გააძლიერეს მუშაობის ტემპები. თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს. მოხუცმა კოლმეურნემ მემედ ხინიკაძემ წელს 325 შრომადღე გამოიმუშავა.

ს. მენაბდე

## დაზოგეს 25 ათასი მანეთის ნედლი მასალა

თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა ამხანაგ სტალინის მოწოდებას ახალი შრომითი ენტუზიაზმით უპასუხა. ნოემბრის მეორე დეკადის გეგმა ფაბრიკამ 105 პროცენტით შეასრულა, ამასთან დაზოგილ იქნა 25.000 მანეთის ნედლი მასალა.

ფაბრიკაში დღითი-დღე იზრდება ორასოვანთა რიგები. ძაფის მხვეველი კომკავშირელი ევგენია გაბრიელოვა, რომელიც წინათ ერთ დაზგაზე მუშაობდა, ახლა 4 დაზგას ემსახურება და დღიურ პროგრამას 442 პროცენტით და მაღალხარისხოვნად ასრულებს. მარიამ ძმუკაშვილიც 4 დაზგაზე ყოველდღიურად 4 ნორმას იძლევა. მუშებმა—ქეთევან ჯავახიშვილმა და ვერა დუბჩენკომ სტახანოვური შრომით ორასოვანის საპატიო სახელწოდება მოიპოვეს. ახალი რეკორდი დაამყარა ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნინა სუმბაძემ. იგი 4 დაზგის ნაცვლად 10 დაზგაზე მუშაობს ძაფის მკვანძელად და გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. სტახანოველი სირან სოლომონიშვილი 9 დაზგას უწევს მომსახურებას.

სახელოვან წითელი არმიის რიგებში გაწვეულებს საბჭოთა პატრიოტი ქალები სცვლიან. ალექსანდრა მიხაილენკო ცეცხლფარეშად მუშაობს, სონია სიდამონიძე—მზეთავად. ისინი საუცხოოდ დაეუფლნენ ამ პროფესიებს და დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ. (საქდესი).

## საქმით უპასუხებენ ბელადის მოწოდებას

სოხუმი („კომუნისტის კორ.). აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეები საქმით უპასუხებენ დიდი სტალინის მოწოდებას. გალის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს სიმინდის უხვი მოსავალი აიღეს. კოლმეურნე ჩოქოლი ქვაჩახიას მეთოდის ფართოდ გავრცელებამ ხუთასფუთოსანთა მოძრაობას შესანიშნავი გასაქანი მისცა. თვით სოფელ ოქუმში, სადაც ქვაჩახია მუშაობს, წელს ჰექტარზე საშუალოდ 20,6 ცენტნერი სიმინდი აიღეს. აქ კოლმეურნეებს შრომადღეზე 5 კილოგრამ სიმინდს უნაწილებენ. ჩოქოლი ქვაჩახიამ თავის სტახანოვურ ჰექტარზე წელს მოიწია 687 ფუთი სიმინდი, სტახანოველმა კოლმეურნემ ლ. შონიამ—706 ფუთი, შ. ჯვებურიამ—570 ფუთი, ე. შელიამ—491 ფუთი.

გუდაუთის რაიონის სოფელ ქვაკლუკის კოლმეურნეობებმა „საბჭოთა სომხეთმა", „კომუნამ", ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე 150 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს დამზადების ნოემბრის გეგმა. კოლმეურნეობა „კომუნამ" ნოემბერში გეგმით გათვალისწინებულზე სამნახევარჯერ მეტი თამბაქო ჩააბარა სახელმწიფოს, კოლმეურნეობა „საბჭოთა სომხეთმა"—3-ჯერ მეტი და სხვ.

სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ციტრუსების კრეფა. ფსირცხის საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე ადრე შეასრულა მანდარინის კრეფის წლიური გეგმა.

გ. მერკვილაძე.

## გარდამავალ დროშას მტკიცედ ინარჩუნებენ

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ბათუმის სახალხო სადგურის ქალთა კოლექტივი (უფროსი—ამხ. ნადია სტრელჩინოკი) სამამულო ომის პერიოდში თავდადებული მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევა.

სადგურში მომუშავეთა შორის ფართოდ გავრცელდა პროფესიათა შეთავსება. მესარეები ორაგველიძე და გოგუაძე ერთდროულად ვაგონების გადამბმელებადაც მუშაობენ, რითაც მარტო სამ დღეში 900 მანეთზე მეტი ეკონომია გასწიეს. მესრე ქალი ზარდარაშვილი ამჟამად ვაგონების გადაბმის საქმეს სწავლობს.

სახალხო სადგურში ამჟამად 10 ორასოვანია. მათ შორის აღსანიშნავი არიან ჰყონია, ბელაშვილი და სკლიარი. მტვირთავები ღლონტი და მეფარიშვილი ცვლაში ერთი ვაგონის ნაცვლად ორი ვაგონის გადმოტვირთვას ასწრებენ.

დიდი ხანია საჩივრის წიგნში მგზავრებს არცერთი საჩივარი არ ჩაუწერიათ. საჩივრის წიგნში მგზავრების ხელით ჩაწერილია მადლობა სადგურის მორიგე სკლიარისა და ჰყონიასადმი.

ომამდე ბათუმის სახალხო სადგურის რკინიგზელებმა ჩინებული მუშაობისათვის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს. ისინი ამ დროშას არავის უთმობენ და მტკიცედ ინარჩუნებენ.

# ნ. ა. ნეკრასოვი

(დაბადებიდან 120 წლისთავი)



ძნელია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუს მწერალთა შორის მოინახოს უფრო პოპულარული პოეტი, ვიდრე ნეკრასოვია. ბელინსკი და ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და ზაიცევი, მთელი რაზნოჩინცული ინტელიგენცია ნეკრასოვს დიდად აფასებდა. შემთხვევითი არ იყო, რომ პოეტის ახლადგათხრილ საფლავთან დოსტოევსკიმ თავის სიტყვაში პარალელი გაავლო პუშკინსა და ნეკრასოვს შორის. მოულოდნელად მას დამსწრეთაგან რეპლიკა ესროლეს: ნეკრასოვი პუშკინზე მაღლა დგასო. როგორი გადაჭარბებაც არ უნდა იყოს ეს შეფასება, იგი ნათლად მეტყველებს ნეკრასოვის უდიდეს ავტორიტეტზე და იმ ცხოველმყოფელ გავლენაზე, რომელსაც რევოლუციურ - დემოკრატიული იდეოლოგიის ეს მხატვრული მესიტყვე ახდენდა თავის თანამედროვეებზე. ნეკრასოვმა სრულიად ახალი სტილი შექმნა რუსულ პოეზიაში. მან აღზარდა პოეტების მთელი თაობა. მისი გავლენა დღემდე არ შესუსტებულა და თანამედროვე პოეზიას რამდენიმე კარგი წინამძღვარი მოუმზადა.

ნეკრასოვს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: „შეიძლება არ იყო პოეტი, მაგრამ ვალდებული ხარ იყო მოქალაქე". თავადაზნაურული წრიდან გაქცეული პოეტი, ჭაბუკობის წლებიდანვე ახლოს გაეცნო დაბალი ფენების უმძიმეს ცხოვრებას მემამულურ-ბატონყმური და ბიუროკრატიულ-ვაჭრული ყოფის პირობებში. მან ამაღელვებელ სახეებში დახატა მეფისდროინდელი რუსეთის სურათები, ჩაიხედა მის ძირში, აღიმაღლა ხმა დაჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა დასაცავად. თავის უმშვენიერეს ეპიკურ პოემაში „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად" ნეკრასოვმა გადაშალა მთელი რუსეთის ცხოვრება და რევოლუციონერი დემოკრატის გრიგოლ დობროსკლონოვის სახით (პროტოტიპად პოეტმა გამოიყენა თავისი მეგობარი, გენიალური კრიტიკოსი ნ. ა. დობროლიუბოვი) უმღერა მომავალ ბედნიერებას, რევოლუციას. სწორედ ამ პოემაშია ნეკრასოვის ის ცნობილი სიტყვები „დედა-რუსეთის" შესახებ, რომელიც ძლიერ მოსწონდა დიდ ლენინს.

ნეკრასოვის ლექსები და პოემები მთელი რუსული ლიტერატურის უდიდესი შენაძენია. პოეტი ამავე დროს რომანებსა და ნოველებსაც სწერდა. მთელ რიგ სახელგანთქმულ ლექსებში „სამშობლო", „გზაში", „დავიწყებული სოფელი", „სალდათის დედა ორინა", „რკინიგზა", „ფიქრები სამარადო შესასვლელთან", „დობროლიუბოვის ხსოვნას", „უცნობ მეგობარს", „თავისუფლება", „ყინვა ცხვირწითელა" ნეკრასოვი გვიხატავს ბატონყმური ცხოვრების პირობებში გლეხთა არაადამიანურ ყოფას, მეფის ჩინოვნიკთა ძალმომრეობას, იძლევა ექსპლოატაციის მკაცრ კრიტიკას და ამჟღავნებს მხურვალე პატრიოტიზმს. ნეკრასოვს უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, რომელსაც მთელი თავისი ნიჭი მოახმარეს პუშკინმა, ლერმონტოვმა, ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა. ჟურნალი „სოვრემენნიკი", პუშკინის მიერ დაარსებული და 60-იან წლებში ნეკრასოვის მიერ რედაქტირებული, ამ სიყვარულის გამოხატულება იყო. პოეტს ღრმად სწამდა რუსეთის დაუშრეტელი ძალები, მისი დიდი მომავალი, მისი ხალხის კოლოსალური ბრძოლისუნარიანობა. ამიტომ მოუწოდებდა პოეტი, მამულის სახელისათვის, სიყვარულისათვის თავი გასწირეთ და ასეთი საქმისათვის სიკვდილი ამაო არ არისო:

«Иди в огонь за честь отчизны,
За убежденья, за любовь.
Иди и гибни безупречно.
Умрешь не даром... Дело прочно,
Когда под ним струится кровь».

დღესაც მოწოდებად გაისმის დიდი პოეტის ეს მგზნებარე სიტყვები. ჩვენი დიდი სამშობლო, რომელმაც არა ერთი და ორი კორიფეი მისცა მსოფლიო მეცნიერებას, მსოფლიო ლიტერატურას, თავისი შვილების თავდადებული ბრძოლით ბოლომდე მოსპობს მოწინავე კაცობრიობის უბოროტეს მტრებს, გამხეცებულ ჰიტლერელ ჯალათებს, რომლებიც მუხანათურად შემოიჭრნენ ჩვენს მიწა-წყალზე და გაუგონარ მხეცობას სჩადიან. ნეკრასოვს სწამდა რუსეთის დაუშრეტელი ძალის მრისხანება. ეს ძალები ახლა გაასკეცებულია. ეს ძალები მთლიანად შემუსრავენ და პირისაგან მიწისა აღგვიან ფაშისტ მოძალადეებს. ამ დიად ბრძოლაში ჩვენი მოკავშირეა ნეკრასოვიც თავისი მგზნებარე პოეზიით.

# საქართველოს მწერალთა კავშირის აქტივის კრებაზე

29 ნოემბერსა და 1 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში შესდგა მწერალთა კავშირის აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პ/მგ. მდივნის ამხ. ი. აბაშიძის მოხსენება თემაზე: „ამხანაგ სტალინის მოხსენება და საქართველოს საბჭოთა მწერლების ამოცანები". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მწერლების ამოცანაა სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო მეტი შემოქმედებითი ენერგიით ემსახურონ ფრონტს, ემსახურონ იმ ბასრი იარაღით, რომელიც ჩვენ გვიპყრია — მხატვრული სიტყვით.

სამამულო ომის დღეებში საქართველოს მწერლებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა. უკვე გამოვიდა ორი კრებული, რომლებშიც თითქმის ყველა ჩვენი მწერალი მონაწილეობს. ახლა მზადდება მესამე კრებული, რომელიც გაცილებით უფრო მაღალხარისხოვანი იქნება. ჩვენი მწერლების ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება ჩვენს გაზეთებსა და ჟურნალებში. სამამულო ომის დღეებში მწერალთა კავშირმა დაიწყო კედლის გაზეთ „ლახვარის" გამოცემა. მწერალთა კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება დაუკავშირდა საქ. რადიოკომიტეტს და მოაწყო რამდენიმე თემატური გადაცემა, მიამაგრა მწერლების კომისია თბილისის კინოსტუდიას, მოაწყო ჰოსპიტალსა და წითელარმიულ ნაწილებში, მუშათა კლუბებსა და საწარმოებში 60-ზე მეტი საღამო, რომლებშიც 30-მდე მწერალი მონაწილეობდა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამამულო ომის დღეებში აქტიურად მუშაობენ ისეთი მწერლებიც კი, რომლებიც ომამდე დიდ ხანს ყოფიერებას ვერ იჩენდნენ. იმავე დროს მწერლების მუშაობას აქვს ნაკლოვანებანი. ეს შეეხება უპირველეს ყოვლისა სწრაფად მუშაობის საკითხს. მწერალი დაუყოვნებლივ უნდა ეხმაურებოდეს ფრონტის მოთხოვნილებას, ყოველდღიურად უნდა ესაუბრებოდეს მკითხველს. მწერლობამ ფართოდ უნდა გამოიყენოს რადიო, ლიტერატურული საღამოები, ზეპირი აგიტაცია-პროპაგანდის ყველა შესაძლებლობა. მწერლებმა უნდა სწერონ მოკლედ და მაღალმხატვრულად.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ ს. ჩიქოვანი, რომელმაც აქტივს გააცნო მწერალთა კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობა, ს. ეული, რომელმაც კრებას უამბო მწერალთა შორის პარტიულ-მასობრივი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ლევან ასათიანი, პლ. კეშელავა, ვ. წულუკიძე, ვლ. ავალიანი, ვლ. ასათიანი, ს. შანშიაშვილი, ა. გაწერელია, რ. გვეტაძე, ა. ჭეიშვილი, ა. ბელიაშვილი, კ. გამსახურდია და ბ. ჟღენტი. მოკამათეებმა ილაპარაკეს თავისი მუშაობის შესახებ სამამულო ომის დღეებში და დაეთანხმნენ მომხსენებლის პრინციპულ საკითხებში მწერალთა მუშაობის კიდევ უფრო გააქტივების მიზნით.

მოხსენებისა და კამათის საფუძველზე პრაქტიკული ღონისძიებების დასამუშავებლად აქტივის კრებამ აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ირ. აბაშიძე, ს. ეული, ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, ვ. წულუკიძე.

მებრძოლთა წერილები მოქმედი არმიიდან

# „მტრის წინსვლა აწყდება წითელი არმიის შეუპოვარ წინააღმდეგობას"

საზიზღარი მტერი, რომელიც დღითიდღე სისხლისაგან იცლება, მთელი თავისი უკანასკნელი ძალების დაძაბვით ცდილობს რაც შეიძლება მოკლე დროში, რუსეთის მკაცრი ზამთრის დადგომამდე გადამწყვეტ შედეგებს მიაღწიოს ჩვენთან ბრძოლაში. მაგრამ მისი წინსვლა აწყდება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის შეუპოვარ წინააღმდეგობას, თვითეული წითელი მებრძოლის თავგანწირვას, საარაკო გმირობას, ურყევ ნებისყოფას, უსაზღვრო პატრიოტიზმს.

„სასტიკად ვანადგურებთ მტერს,—გვწერს უმცროსი სერჟანტი, ტანკისტი გრიგოლ ონისიმეს-ძე იობაიძე.—ჩემი ტანკი რამდენჯერ შებმია სამკვდრო-სასიცოცხლოდ მტრის ტანკებს და ყოველთვის გამარჯვებული გამოვსულვარ. მხოლოდ უკანასკნელ ბრძოლაში მძიმედ დააზიანა მტერმა ჩემი ტანკი, მეც დამჭრეს, მაგრამ მტერს მაინც არ დავნებდი. ახლა ჰოსპიტალში ვარ. ჩემი ტანკიც „მკურნალობს" მალე ისევ რისხვად დავატყდები თავს მტრის ჯავშნიან ურჩხულებს".

„მტერი დიდ ზარალს განიცდის,—სწერს კაპიტანი ელიზბარ ერასტის-ძე გაბელაია. — სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ყოველი წითელი მებრძოლი იბრძვის ერთი შეგნებით— გაანადგუროს რაც შეიძლება მეტი ფაშისტი არამზადა, რაც შეიძლება ძვირად დაუსვას მტერს ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრა".

მებრძოლთა მთელი რიგი წერილები ლაპარაკობენ ფაშისტ ქოფაკების სილაჩრეზე.

„ფაშისტები უშიშარნი არიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯავშანს არიან ამოფარებული, - გვწერს მიხეილ ვლადიმერის-ძე სხვიტარიძე. უნდა ნახოთ ისინი, როდესაც ტანკიდან გამოვაძრევთ ან როდესაც ჩვენი ბიჭები ხიშტით უკვეთებიან მათ. მათ სილაჩრეს საზღვარი არა აქვს. გიკვირს, როგორ ბედავენ ეს საცოდავები ჩვენს გმირ მებრძოლებთან შებმას? იმიტომაც არის, რომ ეს „გამბედაობა" ძვირად უჯდებათ მათ. მათი ლეში ჩვენს ტერიტორიაზე ჰყრია, და კიდევ ბევრი დაწვება ჩვენი ტყვიითა და ხიშტით მოკლული".

წითელი მებრძოლები თვითეულ თავიანთ წერილში გამოსთქვამენ მზადყოფნას ყოველ წუთში გასწირონ სიცოცხლე სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

„სამშობლოსათვის, დიდი საბჭოთა ქვეყნისათვის, სტალინისათვის სიცოცხლეს ვინ დაზოგავს!—სწერს მშობლებს წითელი მებრძოლი აბესალომ ადამიძე.—ჩვენი ქვეყანა უკვდავია. მის უკვდავებას, მის ბედნიერ მომავალს დაე შეეწიროს ჩვენი სიცოცხლე. იმ რწმენით ვიბრძვი და იმ რწმენით მოვკვდები, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება".

ახლოვდება ვერაგი მტრის აღსასრული. მით უფრო გვმართებს ახლა მეტი შეუპოვრობა, მეტი ვაჟკაცობა, მეტი გამძლეობა. ამით გავტეხთ საბოლოოდ მტერს. ამ რწმენით განავრცობს ჩვენი გმირი ხალხი ბრძოლას მძვინვარე მტერთან, იკრებს სულ ახალ და ახალ ძალებს გადამწყვეტი დარტყმისათვის. წითელი არმიის შეტევები დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ახლად გაწვეული წითელი მებრძოლები მთელი ენერგიის დაძაბვით ეუფლებიან სამხედრო საქმეს, ისწრაფვიან რაც შეიძლება მოკლე დროში ისწავლონ მტერზე გამარჯვების ხერხები და მოუთმენლად ელოდებიან ბრძოლის ველზე გასვლას.

ამაზე მეტყველებს მთელი რიგი წერილები, რომლებსაც რედაქცია ღებულობს ზაპასკად მყოფი მებრძოლებისაგან.

„გაძკეცებული ენერგიით ვეუფლებით სამხედრო საქმეს, — გვწერს წითელი მებრძოლი ამხ. ჭ. პავლიაშვილი. — თავიანთი მუყაითი და სანიმუშო მუშაობით გამოირჩევიან ამხანაგები მ. გუგუტაშვილი, ა. ნოზაძე, კ. ჩაფრაძე. სხვებიც მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობენ არ ჩამორჩნენ ამ მოწინავე ამხანაგებს. ყველას შეგნებული აქვს, რომ ჩვენი სამშობლო დიდ განსაცდელშია, რომ ახლაა საჭირო თავგანწირვა, თავდადება, რათა ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაგან".

შ. გვინჩიძე

ახალი წიგნები

## „ფრონტი და ზურგი"

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა ცალკე წიგნად გამოსცა გაზეთებში დაბეჭდილი ნარკვევები და წერილები სამამულო ომის გმირებზე, მამაც წითელარმიელებსა და პარტიზანებზე.

„ფრონტი და ზურგი" შესდგება 34 ნარკვევისაგან.

საინტერესოდ არის აღწერილი საბჭოთა კავშირის გმირების ნიკოლოზ ტოტმინისა და პაველ მარკუცას გმირობა, მაიორ ინაურის პოლკის საბრძოლო ცხოვრება, კაპიტან ციტიშვილის, ლეიტენანტ ალიევის, მაიორ გ. კიკნაძის, მეკავშირე ანატოლ კასრაძის, უმცროს სერჟანტ ა. სურგულაძის, პოლკოვნიკ ლიზიუკოვის, მიშაკოვისა და შალამბერიძის თავდადება და გმირობა სამამულო ომის ფრონტზე.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე წერილები იმაზე, თუ როგორ მუშაობს წითელი არმიის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხი—მუშები, გლეხები, ინტელიგენცია. სამამულო ომის დღეებში ისინი იჩენენ გასაოცარ მამაცობას, სიმარჯვეს, საზრიანობას. დიასახლისებმა შესცვალეს ქმრები, ძმები და ჩაუდგნენ შახტებში, იცავენ მოსავალს, იჩენენ სიფხიზლეს დივერსანტ-ჯაშუშების შეპყრობაში და სხვ.

წიგნი შეიცავს 72 გვერდს და ღირს 1 მ. 20 კაპ.

# უცხოეთის პრესის გამოხმაურება წითელი არმიის მიერ როსტოვის დაკავებაზე

**ნიუ-იორკი**, 2 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის პრესა წითელი არმიის ჯარების მიერ როსტოვის აღებას აგვიწერს როგორც საბჭოთა დიდ გამარჯვებას, როგორც მძლავრ დარტყმას გერმანიის არმიებზე. გაზეთები დიდრონი სათაურით ათავსებენ ცნობას გერმანელ დამპყრობთაგან როსტოვის გაწმენდის შესახებ.

„ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ამ ცნობებს ასეთი სათაური გაუკეთა: „რუსები განაგრძობენ შეტევას როსტოვის მხრიდან, ნაცისტები უკუქცეული არიან. საბჭოთა კავშირმა გასწმინდა ტაგანროგისაკენ მიმავალი გზა 40 მილზე. ნაცისტთა სარდლობა თავს შველის გაქცევით“.

გაზეთმა „პმ“ როსტოვთან წითელი არმიის გამარჯვების შესახებს ცნობას შემდეგი დიდი სათაური გაუკეთა: „როსტოვის ფრონტზე ნაცისტებმა ყველაზე სერიოზული დამარცხება იწვნიეს მთელი ამ ომის განმავლობაში; ნაცისტები აღიარებენ უკან დახევას“.

„ნიუ-იორკ პოსტი“ სათაურში აცხადებს: „უკანდახეული ნაცისტები მახეში გაბმის საფრთხის წინაშე დგანან დონბასში. წითლები აწვებიან ჩრდილოეთიდან აზოვის ზღვის მიმართულებით“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ აცხადებს, რომ საბჭოთა ჯარების მიერ როსტოვის განთავისუფლების მნიშვნელობა ამ ქალაქის მარტო სტრატეგიული როლით როდი განისაზღვრება. რუსებს დონბასის რაიონში ძლიერი ბრძოლისუნარიანი არმიები ჰყავთ. ეს არმიები მთელი თვის განმავლობაში აკავებდნენ გერმანელებს როსტოვთან და უკან დახევის შემდეგ კი არ დაისვენეს დონს გაღმა, არამედ დაარტყეს გერმანელთა მეწინავე კოლონას და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ბერლინის ჩივილი კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს რუსების გამარჯვებას როსტოვის ფრონტზე.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველი მაკენზი სწერს, ჰიტლერმა მნიშვნელოვანი დარტყმა იგემა წითელი არმიის დიდი გამარჯვების შედეგად. რუსებმა არა თუ გარეკეს გერმანელები როსტოვიდან, არამედ უკუაქციეს დამპყრობნი დასავლეთისაკენ აზოვის ზღვის სანაპიროს გასწვრივ. თუ წითელმა არმიამ შესძლო თავისი უპირატესობის განმტკიცება, ეს არსებით გავლენას მოახდენს ომის ბედსა და ხანგრძლივობაზე. საეჭვოა, ჰიტლერის რესურსებმა გაუძლონ დაძაბულობას, თუ იგი ვერ შესძლებს ხელში ჩაიგდოს ახალი წყაროები. როსტოვში საბჭოთა გამარჯვებამ სერიოზული ლახვარი ჩასცა ჰიტლერს.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როსტოვიდან გერმანელთა განდევნა ნათლად მოწმობს თუ რა შეტევითი უნარი მოეპოვება წითელ არმიას, რომლის „მოსპობაც“ ჰიტლერმა ჯერ კიდევ ოქტომბერში გამოაცხადა. ნაცისტების მტკიცებას რომ დავუჯეროთ — როსტოვის ევაკუაცია პარტიზანების მოქმედების გამო მოვახდინეთო, გამოვა, რომ ისინი იმდენად დასუსტებულან, რომ პარტიზანებს წინააღმდეგობას ველარ უწევენ.

„ბალტიმორ სენი“ მოწინავე წერილში აცხადებს, რომ მოსკოვის მახლობლად გერმანელთა არაერთი მარცხი საუკეთესოდ მოწმობს რუსეთის თავდაცვის სიმედგრესა და მის უნარიან ორგანიზაციას.

„წითელი არმიის კონტრშეტევა სამხრეთში, —სწერს გაზეთი,—ცხადჰყოფს, რომ რუსებს ისეთი ბრძოლის უნარი აქვთ, რომ მათ შეუძლიათ ხელში ჩაიგდონ ინიციატივა. სამხრეთის ფრონტზე ამბების განვითარება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნაცისტებმა იმ ზომას მიაღწიეს, როცა მათ აღარ შეუძლიათ ერთდროულად ორ ფრონტზე აწარმოონ დიდი მასშტაბის ოპერაციები“.

**ლონდონი**. ინგლისის ყველა გაზეთი დიდი ცხოველებით უკეთებს კომენტარს წითელი არმიის გამარჯვებას როსტოვის რაიონში. „ნიუს ქრონიკლის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ როსტოვთან გამარჯვება პირველი ნამდვილი გამარჯვებაა თანამედროვე ომში. წითელმა არმიამ გერმანელებს გამოჰგლიჯა უკვე ხელში ჩაგდებული დავლა, რომლის შენარჩუნებაზე დამოკიდებულია სამხრეთის კამპანიის მთელი ნაცისტური გეგმის მომავალი. „ნიუს ქრონიკლი“ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ გერმანელთა საშემოდგომო კამპანიის საბოლოო სტადია, მათი გეგმით, უნდა ყოფილიყო საბჭოთა ჯარების მოსპობა. ნამდვილად კი საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და გერმანელებს ერეკებიან ზამთრის თბილი ბინებიდან, რომლებსაც ისინი გულით ელოდნენ. „გაქცეულ გერმანელთა ფეხის ხმა, —სწერს გაზეთი,—სამგლოვიარო ზარის რეკად შემოესმება თვითეული ცოლისა და დედის გულს მესამე იმპერიაში. ყოველ ინგლისელ ბუშასაც, რომელიც მამაცი რუსეთისათვის იარაღს ამზადებს, იგი შემოესმება როგორც გერმანელებზე სამგლოვიარო ზარის რეკა“.

„დეილი მეილი“ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ საბჭოთა ჯარების მიერ როსტოვის დაკავება ბრწყინვალე გამარჯვებაა, და თუ იგი განმტკიცებული იქნება, ეს იქნება უძლიერესი ლახვარი, რომლის ჩაცემაც კი შეიძლებოდა ამჟამად ჰიტლერისათვის. რუსების მიერ მოპოვებულ გამარჯვებას სტრატეგიული მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისისთვისაც. ომის თვით დასაწყისიდან გერმანიის სამხედრო მანქანას არ განუცდია ისეთი დამარცხება, როგორიც როსტოვთან და ლიბიაში განიცადა. ორივე ნახევარი გერმანიის ყბადაღებული მარწუხისა, რომლის მიზანი იყო ახლო აღმოსავლეთის სიმდიდრეთა ხელთგდება, დამსხვრეული და დამახინჯებულია.

„დეილი ექსპრესის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ წითელმა არმიამ თავისი გამარჯვებით ხელი შეუშალა გერმანელებს ზამთარში თავი შეეფარებინათ როსტოვში და შექმნა სერიოზული ახალი პრობლემა გერმანიის რუნგშტადტის ჯარების მომარაგებისა და მათთვის მაშველი ძალების გაგზავნისათვის.

კომენტარს უკეთებს რა წითელი არმიის გამარჯვებას სამხრეთით, „ივნინგ სტანდარტი“ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ როსტოვის აღებამ საბჭოთა ჯარებს მოუხვეჭა უკვდავი სახელი, რომელიც ყველა თავისუფალ ადამიანს საუკუნეების მანძილზე ეხსომება. როსტოვში ნაცისტებმა თავიანთი გააფთრება გამოხატეს ალვირახსნილი სისასტიკით, მაგრამ აქ პირველად აღმოჩნდა, რომ მხეცური სისასტიკე არის არა ძალის, არამედ სისუსტის გამოვლინება. როსტოვი დიადი ქალაქი გახდება. აქ საბჭოთა კავშირის არმიებმა თავი გამოიჩინეს როგორც ძლიერმა არმიებმა, რომლებსაც უნარი შესწევთ არა მარტო აიტანონ დარტყმა, არამედ დაარტყან კიდეც. როსტოვი არის გზა აზიისაკენ, მაგრამ იგი შეიძლება გახდეს მიჯნად ბერლინისაკენ მიმავალ გზაზე.

(მიღებულია რადიოთი ხაჭრადიოკომიტეტის მიერ).

# კურუსუს განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი

**ვაშინგტონი**. გუშინ დილით ნომურამ და კურუსუმ კვლავ ინახულეს ჰელი, რათა განეახლებინათ იაპონია-ამერიკის მოლაპარაკება. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კურუსუმ განაცხადა, რომ მას ტოკიოდან არ მიუღია პასუხი ჰელის 26 ნოემბრის ნოტაზე, რომელშიც უკანასკნელმა მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა შეკითხვაზე ტოძიოს იმ სიტყვის შესახებ ცნობათა გამო, რომელშიც მან განაცხადა, რომ საჭიროა აღკვეთილ იქნას ამერიკელებისა და ინგლისელების ჩარევა შორეულ აღმოსავლეთში, კურუსუმ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, გაზეთების ცნობებში ტოძიოს სიტყვები ძლიერ დამახინჯებულია. კურუსუმ სთქვა, რომ მან გამოითხოვა ტოკიოდან ტოძიოს სიტყვის სრული ტექსტი. კურუსუს სიტყვით, მან არა იცის რა იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ იაპონია ემზადება ტაიზე თავდასხმისათვის.

# იაპონიის ესკადრა ბორნეოს მახლობლად

**ნიუ-იორკი**. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მანილიდან იუწყება, არის სარწმუნო ცნობები, რომ იაპონიის ესკადრა 16 მძიმე კრეისერისა და რამდენიმე ავიოსნის შემადგენლობით გამოჩნდა იაპონიის სამანდატო კუნძულების რაიონში ბორნეოს მახლობლად.

# რუსეთ-გერმანიის ფრონტის ფოტოგრაფიების გამოფენა

**ლონდონი**. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 1 დეკემბერს დღისით ბელფასტში გაიხსნა რუსეთ-გერმანიის ფრონტის ფოტოგრაფიების გამოფენა, რომელიც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ საბჭოთა კავშირის ინგლისშინა საელჩოსთან ერთად მოაწყო. გამოფენა გახსნა ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა. გახსნაზე წაკითხულ იქნა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენის შემდეგი მისალმება: „ხუთ თვეზე მეტია, რაც ჩვენ აღტაცებით ვადევნებთ თვალს ჩვენი მოკავშირის—საბჭოთა კავშირის დიდებულ და გმირულ ბრძოლას ნაცისტთა იმ მხეცური თავდასხმის წინააღმდეგ, რაც წარმოადგენს მუხანათობის აქტს, რომელიც უბადლო დარჩება ნაცისტური გერმანიის ამაზრზენ მატიანეებშიც კი. ინგლისის მთავრობა და ხალხი მთელ თავის ძალებს სძაბავენ, რათა დაეხმარონ ჩვენს მოკავშირეს მის გააფთრებულ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. მაგრამ, გარდა მთელი იმ მატერიალური დახმარებისა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია რუსეთს აღმოვუჩინოთ, ყველა ჩვენგანს დაკისრებული აქვს მეორე ამოცანა—ყოველივე შესაძლებელი გააკეთოს, რათა რაც შეიძლება უკეთესად გაიცნოს და გაიგოს ჩვენი მოკავშირე. ასეთი გაგებისათვის არ შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი საფუძველი, ვიდრე საბჭოთა კავშირის ხალხთა ყოფაცხოვრების ცოდნაა, და მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ეს გამოფენა დიდ დახმარებას გაუწევს ამ ამოცანის განხორციელებას. ვუსურვებ გამოფენას ყოველგვარ წარმატებას. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის უკეთესად გაგების მიღწევას, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ომის დროს, არამედ რომელიც აუცილებელი იქნება იმ დროსაც, როდესაც ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საქმეს შევუდგებით“.

(მიღებულია რადიოთი ხაჭრადიოკომიტეტის მიერ).

# ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

**ლონდონი**, 2 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 30 ნოემბერს, ღამით, ინგლისის ბომბდამშენთა მძლავრი შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიის ნავსადგურებს. გააფთრებული იერიში განიცადა ჰამბურგმა, რომელსაც 170 ტონა ბომბი დააყარეს. ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ინგლისის თვითმფრინავთა დიდი შენაერთი თავს დაესხა აგრეთვე ემდენს. გარდა ამისა დაბომბეს ბრემერჰაფენის, ვილჰელმსჰაფენის, კილისა და ლიუბეკის სხვადასხვა ობიექტები.

**ლონდონი**, 2 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 1 დეკემბერს, ღამით, მოწინააღმდეგის უმნიშვნელო მოქმედება იყო ინგლისში. სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში ჩამოყრილმა ბომბებმა მსუბუქად დააზიანეს საცხოვრებელი სახლები. მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა მცირეა.

# საომარი მოქმედება ლიბიაში

**ლონდონი**, 2 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკე იუწყება, რომ გუშინდელი დღის განმავლობაში ინგლისის ავიაციის აქტიური მოქმედების შედეგად ლიბიაში ჩამოგდებულ იქნა მტრის 18 თვითმფრინავი.

18 ნოემბრის დილიდან 30 ნოემბრის შუაღამემდე მოსპობილია მოწინააღმდეგის 176 თვითმფრინავი. აქედან 92 ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლის დროს და 84 მოსპობილია მიწაზე.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის სარდლობის წარმომადგენელმა ქაიროში განაცხადა, რომ ამჟამად მთავარი ბრძოლები მიმდინარეობს ტობრუკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ელ-დუდსა, სიდი-რეზეხსა და ბირელ-ჰამიდს შორის მდებარე სამკუთხედში.

30 ნოემბერს, დილით, განაცხადა წარმომადგენელმა, მოგერიებულ იქნა გერმანელთა ტანკების იერიში დასავლეთიდან. ინგლისის ჯავშანსატანკო ძალებმა იერიში დაიწყეს სიდი-რეზეხის სამხრეთით მდებარე რაიონში და უკუაქციეს იტალია-გერმანიის ნაწილები.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 29 ნოემბერს სიდი-რეზეხის რაიონში წარმოებული ბრძოლების დროს მოწინააღმდეგემ ერთდროულად სამი მხრიდან მიიტანა იერიში ინგლისის საიმპერიო ჯარებზე. იტალიის ჯავშანსატანკო დივიზიამ „არიეტემ“ იერიში მიიტანა სამხრეთიდან, გერმანიის 21-ე ჯავშანსატანკო დივიზიამ—ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და გერმანიის მეორე, მოტომექანიზებულმა დივიზიამ — სამხრეთ-დასავლეთიდან. ამ უკანასკნელმა 29 ნოემბერს დაიკავა ელ-დუდა (სიდი-რეზეხის მახლობლად), მაგრამ იგი მალე გაძევებულ იქნა ამ პუნქტიდან.

# გერინგისა და პეტენის შეხვედრა

**ჟენევა**, 2 დეკემბერი (საკდესი). დღეს საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში ერთმანეთს შეხვდნენ გერინგი და პეტენი. როგორც ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, ამ შეხვედრას უკავშირებენ მთელ რიგ ახალ მოთხოვნებს, რომლებიც ფაშისტურმა გერმანიამ ვიშის მთავრობას წარუდგინა და რომლებიც მიზნად ისახავენ ვიშის კიდევ უფრო დამორჩილებას გერმანიის ყველა ბრძანებისადმი, კერძოდ, ჩრდილოეთ აფრიკისა და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ბაზების საკითხში.

# ტერორი უნგრეთში

**ბერნი**, 2 დეკემბერი (საკდესი). როგორც აქ გამოირკვა, 29 ნოემბერს ბუდაპეშტის სასამართლომ 17 კაცს სხვადასხვა ვადის პატიმრობა და საკატორღო მუშაობა მიუსაჯა „ანტიფაშისტური ორგანიზაციის შექმნის ცდისა და ანტიფაშისტური ლოზუნგებისა და ბროშურების გავრცელებისათვის“. ბერნის საქმესთან გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, რომ ამ უკანასკნელ ხანს ეს უნგრელთა პირველი ჯგუფი როდია, რომელსაც ანტიფაშისტური საქმიანობა ბრალდება. ნამდვილად საქმე ეხება მასობრივ დაპატიმრებას იმის გამო, რომ სულ უფრო ძლიერდება უკმაყოფილება ომისა და მომარაგების დარგში გაჭირვების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეიტერის სააგენტო ინგლის-ფინეთის ურთიერთობის შესახებ

**ლონდონი,** 2 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ ინგლისი მზად არის ომი გამოუცხადოს ფინეთს. თუმცა ოფიციალური წყაროებიდან არავითარი ინფორმაცია არ არის, მაგრამ ლონდონში ბევრი პიროვნება მტკიცედ აცხადებს, რომ ასეთი ღონისძიების ხმარება აუცილებელია. ფინეთს სრული შესაძლებლობა ჰქონდა გადაწყვეტილება მიეღო მიმდინარე წლის აპრილიდანვე, როცა გერმანელთა ჯარები ფინეთში ჩადიოდა იმ რაოდენობით, რაც აღემატება გერმანია-ფინეთის 1940 წლის სექტემბრის შეთანხმებით დაწესებულ რაოდენობას. მაგრამ, რაც უფრო გრძელდებოდა ომი, მით უფრო აშკარა გახდა, რომ ფინეთი იბრძვის არა მარტო იმისათვის, რომ თავისი უწინდელი საზღვარი აღადგინოს, არამედ ცდილობს სავსებით ჩაშალოს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო ღონისძიებანი. კერძოდ, უკანასკნელ კვირებში ცნობები მოვიდა, რომ ფინელი ჯარისკაცები იბრძვიან არა მარტო ჩრდილოეთში, არამედ ლადოგის ტბის გარშემოც, ე. ი. აშკარად იმ რაიონების თარგლებს გადაღმა, რომლებზედაც ფინეთს როდისმე წამოუყენებია მოთხოვნები. შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, თუ რამდენად მოქმედებენ ფინელები საკუთარი ნებასურვილით, მაგრამ უეჭველია ის, რომ ბევრი ფინელი შეშფოთებას განიცდის იმ გზის გამო, რომლითაც ამჟამად მათი ქვეყანა მიდის. მთავრობის ყველაზე უფრო პირდაპირი კრიტიკოსი იყო შვედების პარტიის წარმომადგენელი ფაგერჰოლმი. მან პარლამენტში მოითხოვა, რათა მთავრობა განცხადებით გამოსულიყო, რომ ომი, რომელსაც ფინეთი ეწევა, თავდაცვითი ომია და არა დაპყრობითი. მან შეშფოთება გამოსთქვა იმის გამო, თუ რამდენად შეძლებს ხალხი აიტანოს ის მძიმე მსხვერპლი, რაც დაკავშირებულია ხანგრძლივ ომთან, თავისი საკუთარი საზღვრებიდან დაშორებით. ასეთ შეშფოთებას, უეჭველია, იზიარებენ ფინეთის მოსახლეობის ფართო ფენები, ფინეთისა, რომელიც 2 წლის მანძილზე ამჟამად მეორედ ეწევა ომს.

## გერმანიის გენერლები მოითხოვენ დიტრიხის გადაყენებას

**სტამბოლი,** 2 დეკემბერი (საკდესი). ბერლინიდან ჩამოსული ჟურნალისტები გადმოგვცემენ, რომ გერმანიის გენერლების ჯგუფი, მათ შორის ფონ-ბოკი და ფონ-ლეები, გადაჭრით მოითხოვენ ნაცისტების საინფორმაციო პოლიტიკის შეცვლას, რომელმაც, მათი სიტყვით, „უკვე არაერთხელ გაუტეხა სახელი გერმანიის შეიარაღებულ ძალებს“. ისინი მოითხოვენ ნაცისტთა მთელი რიგი ხელმძღვანელი მოხელისა და, განსაკუთრებით, გერმანიის მთავრობის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების უფროსის დიტრიხის გადაყენებას. დიტრიხი გერმანიის ცნობების შედგენას განაგებს და თითქმის მუდამ ჰიტლერის ბანაკში იმყოფება. მის გამოსვლებს განსაკუთრებული ბაქიობა და სიცრუე ახასიათებს. გერმანიის პროპაგანდის ამ უკანასკნელი ხნის არაერთმა დიდმა მარცხმა, რაც დაკავშირებულია ნაცისტების მკვეხარა განცხადებებთან წითელი არმიის მოსპობაზე და ზამთრის დაწყებამდე აღმოსავლეთში ომის დამთავრებაზე, ძლიერ გაუტეხა სახელი დიტრიხს მოსახლეობის თვალში და დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სარდლობის წრეებში.

## ინგლისის მაშველი ძალები ბირმაში ჩავიდნენ

**ლონდონი,** 1 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რანგუნს ჩავიდნენ ინგლისის ახალი მაშველი ძალები ინგლისელთა და ინდოელთა ნაწილების შემადგენლობით.

## სსრკ სახალხო არტისტ ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან შეხვედრის საღამო

საქფილარმონია აწყობს სსრკ სახალხო არტისტ ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს შეხვედრას თბილისის საზოგადოებრიობასთან.

საბჭოთა თეატრის უდიდესი ოსტატი და გამოჩენილი მოღვაწე, სსრკ სახალხო არტისტი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, რომელმაც ბავშვობა და ყრმობა გაატარა თბილისში, შეხვედრაზე ისაუბრებს მის პირველ თეატრალურ შთაბეჭდილებებზე. საუბარში ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო გაუზიარებს დამსწრეთ შემდეგ მოგონებებს: მისი ბავშვობა და ყრმობა თბილისში; თეატრები ქარვასლაში, მუშტაიდში და საინჟინერო ბაღში; საიმპერატორო დირექცია, იტალიური ოპერა, დრამა, ოპერეტა; თბილისის ქუჩები, ყოფა-ჩვეულებანი; იაბლოჩკინის ანტრეპრიზა; სცენისმოყვარულთა სპექტაკლები; ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს პირველი გამოსვლები სცენაზე ა. ი. სუმბათოვ-იუჟინთან ერთად; დღეს, 60 წლის შემდეგ.

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან შეხვედრა შესდგება რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში კვირას, 7 დეკემბერს. საღამოს მთელი შემოსავალი გადაეცემა თავდაცვის ფონდს.

### მოსკოვის სცენის ოსტატთა საღამო

8 დეკემბერს საქ. ფილარმონია რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მართავს მოსკოვის სამხატვრო და მცირე აკადემიური თეატრების მსახიობთა მეოთხე საღამოს, რომელშიაც მონაწილეობენ: სსრკ სახალხო არტისტები ვ. ი. კაჩალოვი, მ. მ. კლიმოვი, მ. მ. თარხანოვი, ო. ა. კნიპერ-ჩეხოვა, ვ. ნ. რიჟოვა, რსფსრ სახალხო არტისტები ვ. ო. მასალიტინოვა და ფ. ვ. შევჩენკო; მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ე. ფ. სკულსკაია.

### აზერბაიჯანული მუსიკისა და სიმღერის საღამოები

5 და 6 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქფილარმონია გამართავს აზერბაიჯანის მუსიკის, სიმღერისა და მუღამათების საღამოებს, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ: აზერბაიჯანის ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ანსამბლი ს. რუსტამოვის და საზზე დამკვრელ ქალთა ანსამბლი ს. ჰაჯიბეკოვის ხელმძღვანელობით; აზერბაიჯანის ფილარმონიის სოლისტები: ფატმა ფერხალიევა, ზიულფი ადიგეზალოვა, ხან შუშინსკი და სოლომონ ხეირანოვი.

კონცერტის დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

### თეატრებში

**სახოპერა** — 4 დეკემბერს — „ტოსკა“, 5 დეკემბერს—„დაისი“, **რუსთაველის სახელობის** — 5 და 6 დეკემბერს — „ხალხი აღსდგა“ (პრემიერა), 7 დეკემბერს — „ოტელო“, 7 დეკემბერს **დღის წარმოდგენა** — „ხალხი აღსდგა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 4 დეკემბერს — „ცხვრის წყარო“, 5 დეკემბერს — „ურიელ აკოსტა“, 6 დეკემბერს — „მკაცრი ქალიშვილები“, 7 დეკემბერს — **დღის წარმოდგენა** — „მკაცრი ქალიშვილები“, **სანკულტურის ქართული თეატრი** — 4 დეკემბერს — „აჯილღა“, 6 დეკემბერს — „სტუმარ-მასპინძლობა“, 7 დეკემბერს — „გაგრძელება იქნება“, **მუსიკალური კომედიის** — 4 დეკემბერს — „თივა და ავი ძაღლი“, 5 დეკემბერს — „სკაპენის ოინები“, **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 4 დეკემბერს — „გაგრძელება იქნება (მე-31 აბ., დასაწყ. საღ. 7 ს.), 5 დეკემბერს — „გაგრძელება იქნება“ (მე-21 აბ., დასაწყ. საღ. 7 ს.), 6 დეკემბერს—„გაიდარი“ (აბონემენტის გარეშე).

### „ტრავიატა“ უკრაინელ მომღერალთა მონაწილეობით

10 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილი იქნება ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატა“. მთავარ როლებს შეასრულებენ ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები ი. ლოზინსკაია (ვიოლეტა), ი. კუჩენკო (ალფრედ) და მ. პოპოვი (ჟერმონ).

დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი.

### „მკაცრი ქალიშვილები“ ქუთაისის თეატრში

**ქუთაისი** („კომუნისტის“ კორ.) 4 დეკემბერს ქუთაისის თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს ქ. ბუაჩიძის 3-მოქმედებიან კომედიას „მკაცრი ქალიშვილები“.

პიესას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი გრ. სულიაშვილი, მხატვრული გაფორმება ი. იაქაშვილისა, მუსიკა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. ვახვახიშვილისა. მთავარ როლებს ასრულებენ—რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. მურუსიძე, მსახიობები მ. გელაშვილი, ვ. კინწურაშვილი, ა. კობალაძე, მ. ფხაკაძე და სხვები.

**რ. კინწურაშვილი**

### დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ.** — „საბრძოლო კინოკრებული № 5“, **ოქტომბერი** — „პროფესორი მამლოკი“, **დამკვრელი** — „ბრძოლა გრძელდება“, **სპარტაკი** — „ახალი ცხოვრებისაკენ“, **ლუქსემბურგის სახ.** — „ჭაბუკი ტაიგიდან“, **26 კომ. სახ.** — „ვაჟკაცობა“, **კომინტერნი** — „ფრონტელი მეგობარი ქალები“, **მეცნიერება და ცოდნა** — „ესკადრილია № 5“.

### თბილისის სახცირკი

მხატვრული მრავალფეროვანი პროგრამა. ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

**4 დეკემბერს** ჭიდაობენ: რევანში. ყარა მუსტაფა — ოსმან აბდურახმანოვი, ვსევოლოდ ხერცი — ბიკოვი, ვიდრიაკოვი — ალი რუსტამოვი.

**5 დეკემბერს** ჭიდაობენ: მეორე შეხვედრა დენისოვი — ვსევოლოდ ხერცი, ოსმან აბდურახმანოვი — ვიდრიაკოვი, პლიასულია — გურსკი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1941—42 წ. სეზონი**

**5 და 6 დეკემბერს** **პრემიერა**

შ. დადიანი (რესპ. სახ. არტ.) და რ. ქორქია

**„ხალხი აღსდგა“**

დრამა 4 მოქმ. და 6 სურათად

დადგმა—**შ. აღსაბაძის** (ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე), მხატვარი—**ირ. გამრეკელი** (ხელოვნ. დამს. მოღვაწე), მუსიკა—**ი. ტუსკიასი** (ხელოვნ. დამს. მოღვაწე), რეჟისორი—**შ. წერეთელი,** დირიჟორი—**ვ. გეჯაძე.**

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დღის 12-დან საღ. 9 საათამდე.

2—2 დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური ინსტიტუტი**

**აცხადებს,** რომ 1941 წლის 24 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული) შესდგება მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც **ნიკოლოზ პეტრეს-ძე ვეკუა** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ზოგიერთი სინგულარული ინტეგრალური განტოლებისა და პოტენციალთა თეორიის სასაზღვრო ამოცანების შესახებ“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ილია ვეკუა** და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერული თანამშრომელი **ლეო მაღნარაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ დისერტაციას მათემატიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური ინ-ტის დირექტორი—აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.**

401

**დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა**

ნარაზენის ჩაის ფაბრიკის შტამპი.

ჩაითვალოს გაუქმებულად. 12556

საქვაჭრობის დირექცია იუწყება

**გაბო შალომის-ძე ელიგულაშვილის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 5/XII 5 ს. გამოსვენება გაბაშვილის, 14. 12556

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქუჩა № 28.

უე 41455